№ 115 **სახალხო გაზეთი** № 115

პარასკევი, 24 სექტემბერი, 1910 წ. ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა. წელიწ. პირველი



ამ წლის 7 მაისიდან გამოდის

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

## სახალხო გაზეთი

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექნება კვირეული

## სურათებიანი დამატება

**გაზეთის ფასი დამატებიანა:** წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარეთ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებით ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ., ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

**** ხელის-მომწერთა საყურადღებოდ ****

კანტორა აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე ხელისმომწერმა უნდა აცნობოს ხოლმე, რათა ყურადღება მიაქციოს გაზეთის წესიერად მიღებას.

„სახალხო გაზეთის" კანტორა ღიაა ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამ.

წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ, Большая Ванкская ул., № 12, Семену Пашалишвили.



კნეინა პელაგია, კნიაჟნები თეოლინა და ანნა ნაკაშიძეები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ

### თავ. ისიხი დიმიტრის ძის ნაკაშიძის

გარდაცვალებას. პირველი—ძვირფას მეუღლისას, მეორე—მამისას და მესამე—ძმისას. დასაფლავება ქ. ოზურგეთში 25 სექტემბერს (2—85—2)



საზოგადოების წევრთა და განსაკუთრებით კახელ მევენახეთა

## საყურადღებოდ

ამით აცხადებს, რომ „კახეთის" საზოგადოების საქმეების გაუკეთესების გამო მას საშუალება აქვს კახურ ღვინის მთელი მოსავალი მომხმარებლებზე გასაღოს შუამდგომელთა დაუხმარებლად.

საზოგადოების წესდების მე-§ § 4 და თანახმად, მიღებულ ღვინოში პატრონს მიეცემა პირველად ღირებულობის მესამედი, შემდეგაც ორი-მესამედი ორჯერობაზე დაუბრკოლებლად საოპერაციო წლის განმავლობაში. გამგეობა იმედოვნებს, რომ ღვინის მწარმოებელნი აიკილებენ ჩარჩ მოვაჭრეებს თავიანთ და სასარგებლოდ და საერთო საქმის გასაძლიერებლად. (10—65—7)



## ტფილისის სასულიერო სემინარიის მმართველობა

ამით აცხადებს, რომ იგი იჯარით აძლევს სემინარიის ძველ შენობას, რომელიც იმყოფება ქ. ტფილისში, პუშკინის ქუჩაზე. ამ აზრით მმართველობა ჰნიშნავს საბოლოო საჯარო ვაჭრობას. მსურველთა განცხადება უნდა წარედგინოს ტფილისის სასულიერო სემინარიის მმართველობის სახელობაზე 1910 წლის 2 ოქტომბრისათვის. განცხადება დახურულ კონვერტში უნდა იყოს. ამასთანავე ვაჭრობაში მონაწილეობის მსურველებმა ბედ უნდა წარმოადგინონ 10,000 მ. ფულად ან სახელმწიფო % ქაღალდებით. ვაჭრობის დღის 12 საათამდე. დაწვრილებითი პირობების შეტყობა შეიძლება ყოველ დღე სემინარიის მმართველობის კანცელარიაში—(ტფილისი—ვაკე) დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდე. (2—231—2)



## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

ა. **ვაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.
ზ. ა. **მიქელაძე**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 1½—2½ ს.
ა. ნ. **დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
ნ. მ. **მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.
ა. **მოლბაია**—ყელ., ყურ., ცხვირ. და ყოველ დღე 12—1 ს.
**ტერ-ნიკოლოსოვი** დ. გ.—შინაგ. და ბავშვ. ოთხშაბათობით და კვირობ. 11½—12½ საათ.
ე. გ. **ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წ. 5.—446)



## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით
ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ქსენიის ქუჩა, სახლი № 7. „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს,
ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე** ვ. დ.: შინ. და ბავშვ. ყოვ. დღე; გარდა კვირისა 11—12 საათ.
**გედევანიშვილი** მ. ა. ნერ. და ელექ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.
**გურკო** გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 საათ.
**კარშინი** ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.
**მაღალაშვილი** გ. გ. შინ., სამშ. და საბ. 10—12 ს.
**ქიქოძე** ტ. ს. შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.
**მანსვეტოვი** გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარას. 1—2 ს.
**მუსხელიშვილი** ვ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 12—2 ნახ. ს.
**მელიქიშვილი**. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.
**ფირალოვი** რ. ზ. ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.
**პაპოვი** ვ. ა. ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე 2—2-ნახ. ს.
**ხოხოლევსკი** გ. ვ. ქირურ., ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (200—5.—285)



პროვინციაში გაზეთების გამგზავნი

## ბიურო

პირველ სექტემბრიდან შესდგა გაზეთების საგზავნო ბიურო, რომელშიაც შედიან გაზეთები: „სახალხო გაზეთი", „საქმე", „ზაკავკაზია", „ნოვაია რეჩი" და ჟურნალები „მათრახი და სალამური", „ერი" და „თეატრი და ცხოვრება". ბიუროს მიზანია პროვინციაში ჟურნალ-გაზეთების გავრცელება აგენტებს **მხოლოდ** ამ ბიუროსაგან შეუძლიანთ დაკვეთა ჟურნალ-გაზეთებისა. ბიუროს გამგედ არჩეულია ერასტი დავითის ძე გორდელაძე, რომლის სახელზედაც უნდა იგზავნებოდეს, როგორც წერილები, აგრეთვე ფული შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Эриванская площадь д. Гургенова, общiй входъ съ нотарiусомъ Мгебровымъ. Эрастiю Давидовичу Горделадзе.



## საჭიროა აგენტი

პროვინციაში გაზეთების გამავრცელებელ ბიუროსათვის **ძლიერ სასწრაფოდ**. საჭიროა გაზეთების გამყიდველი აგენტი შემდეგ ადგილებში: ჩოხატაურში, ხონში, ზუგდიდში, ახალ-სენაკში, ელისავეტპოლში (განჯა), და ყარსში. წინ და წინ საჭიროა ორი კვირის გაზეთების საფასური ფული. მიმართვა და ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ Эриванская площадь, д. Гургенова, общiй входъ съ нотарiусомъ Мгебрымъ, Эрасту Давидовичу Горделадзе.



ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

შაბათს, 25 სექტემბერს მუსიკალური საზოგადოება სდგამს

## ტრავიატას.

მონაწილეობას მიიღებენ ოპერის არტისტები კოლოტიკი, ნიკიცკაია, გლებოვი, გულულოვისა და სხვ. დასაწისი საღ. 8 ს. ბილეთები 5 კ.-დან 80 კ.-დე. ხორ. და ორკესტ. დირიჟორი პ. პ. **ფალიაშვილი**. ადმინისტ. **თ. დოლიძე**. (2—86—1)



## ქ. ქუთაისში

თ. მთავრიშვილისა და ამხანაგობის

## წიგნის მაღაზიაში

დამზადებულია დიდ-ძალი ქართული და რუსული **სახელმძღვანელო წიგნები.**

სახალხო სასწავლებლებს, სახალხო ბიბლიოთეკებს და პროვინციის წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 10 პროცენტი. ყდაზე გადახდებათ თითო შაური. ვინც ფასდადებით გამოიწერს, მან ბეჯუნდა გამოგზავნოს. აქვე იმყოფება უმთავრესი საწყობი შემდეგი წიგნებისა:

| | | |
|---|---|---|
| 1. | გუთანი, ოჯახსა და სკოლაში საკითხავი წიგნი, შედგენილი ქუთ. ქართულ გიმნაზიის მასწავლებლების მიერ | ფასი 80 კ. |
| 2. | ქართული გრამატიკა ს. ხუნდაძისა | „ 50 „ |
| 3. | ქართული წერის დედანი, ს. დათეშიძისა | „ 20 „ |
| 3. | ბატონ-ყმობა საქართველოში, ალ. ხახანაშვილისა | „ 50 „ |
| 5. | საქართველოს ისტორია ს. ქვარიანისა | „ 25 „ |
| 6. | ელისო, მოთხრობა ალ. ყაზბეგისა | „ 10 „ |
| 7. | დედა-ენის ზოგიერთი სიტყვების განმარტება, 3 ქარაიასი | „ 15 „ |

(25—6.—25)



ამა წლის 18—26 ენკენისთვ ემდე

## დანიშნულია დიდი იაფობა

წარსული სავაჭრო წლის ყველა საქონლისა

## ძმ. ა. და ი. ალუშვანგის მაღაზიაში

სასახლის ქუჩა, ტელეფონი 477 (2—61—2)



ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო
**მიხეილ გედევანიშვილისა**
იღებს ავადმყოფებს კვირის გარდა დილით 12—1; საღ. 6—7 საათ. გამინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყოროანოვის ქ. 20. (0—5.—51)

**ექიმი** შ. ა. მიქელაძე იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველდღე საღამოს 5½—6½ საათამდის კახეთის ქ. ტელეფონი N 816.

**ექიმი** გ. ნ. მამაკაიანი შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. სპეციალურად კუჭისა და ნაწლავებისა. მიიღება დილის 10—11 საათ. (ბავშვთა) საღამოს 5—7 საათი (სახ ავადმყ.), მიხეილის პროსპექტი, № 36, ტელეფონი N 388. (100—ჩალ.—37)

**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი ჯაპარიძისა. (უ)

**ექიმი** კბილისა ნინო რცხილაძე იზმაილოვის ქუჩაზე N 2. **გადავიდა** იღებს ავადმყოფთ დილით 10 ს.—2 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

**ექიმი** კბილისა ალ. სოლოღაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი** მ. ს. არჯევანიძე ქუთაისში. იღებს შინაგან და დედათა სენით ავადმყოფებს, ყოველ დღე კვირა უქმის გარდა, დილით 9—12 საათამდე და საღამოთი 6—7 საათ. პუშკინის ქ., სახ. ი. ი. გოგიაშვილისა. (25—9—14)

**ექიმი** ვ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. ბირონის ქ., № 9. (უ)

**ექიმი ტყეშელაშვილი** ქუთაისიდან
გაემგზავრა საზღვარ-გარეთ რის გამო ავადმყოფებს აღარ მიიღებს. (5—80—5)

## ვასწავლი

ხალხურ სიმღერებს და ვამზადებ ქართულ გუნდს
ორშაბათობით და ოთხშაბათობით საღ. 4—6 ს.
ავჭალის მოედანი, N 13, ნემეცების სასაფლაოს გვერდით. (5—უ.—1)

**ქართული** სექცია ტფილისის სახალხო უნივერსიტეტისა ამით აცხადებს **მუშათა საყურადღებოდ**, რომ ქართ. სექც. სკოლებში 15 სექტემბრიდან დაიწყება სწავლა. სწავლის ფასია სამ თვეში 1 მან. ამ სკოლაში ხუთმეტ წლისაზე პატარა არ მიიღება მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერონ 7 სექტემბრიდან ყოველ დღე გარდა უქმე დღეებისა, საღამოს **ექვსიდან შვიდ საათამდე**. იმავ სკოლებში: გოგოლის ქუჩა № 45 ვოგზლის მახლობლად ვერაზე, ოლგის ქუჩა № 52, ოლგის საგზაო ინსტიტუტის გვერდით. ავლაბარი, ქალანთარის საქალაქო სკოლაში. (15—უ.—14)


## ტფილისი, 24 სექტემბერი

ახლოვდება დღე სახელმწიფო სათათბიროს სხდომების გახსნისა, ახლოვდება დრო, როდესაც რუსეთის ცხოვრების შესახებ კვლავ უნდა ამოიღონ ხმა იმ პირებმა, რომელნიც, ასე თუ ისე, ხალხის ერთი ნაწილის წარმომადგენლებად მაინც უნდა ჩაითვალონ. სხვა ქვეყნებში და სახელმწიფოებში წარმომადგენლობითი დაწესებულების გახსნას უსწრებს გაფაციცებით მუშაობა მთავრობის სხვა და სხვა დაწესებულებებისა, თვით დეპუტატები ადგილობრივ იკვლევენ ხალხის მდგომარეობას, ეცნობიან მის გაჭირვებას, სხვა და სხვა გეგმებს ადგენენ ხოლმე მომავალ მუშაობისას, სთხზავენ ახალ კანონ-პროექტებს და სხვა.

რუსეთში კი სიჩუმე და დუმილია. დრო გამოშვებით თუ ამოვიკითხავთ ხოლმე—მა თუ იმ გაზეთში—მთავრობამ ესა და ეს კანონ-პროექტი შეიმუშავაო. მაგრამ არც ერთ ამ კანონპროექტს ხალხის ფართო მასსისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. არც ერთი კანონ-პროექტი არ შეეხება იმ ელემენტალურ თავისუფლებათა განხორციელებას, რომელნიც, აგერ ხუთ წელზე მეტია, აღუთქვა ხალხს ბიუროკრატიამ და რომელიც დღესაც განუხორციელებელია.

მაშინ გამოცხადებული იყო ლოზუნგად. „ჯერ დამშვიდება და მერე რეფორმებიო". დამშვიდება უკვე განხორციელდა, გარეგნულად მაინც. ძვირად დაუჯდა ხალხს ეს „დამშვიდება", მაგრამ ზოგი ერთ წრეებს მომავალი რეფორმების იმედი მაინცა ჰქონდათ.

რეფორმები კი არსადა სჩანან და სახელმწიფო სათათბიროს წინაშე წარდგენილი არის გასსახილველად მხოლოდ ისეთი კანონ-პროექტები, რომელთაც სათათბიროს თავმჯდომარედ ნამყოფმა ხომიაკოვმა, მოსწრებულად „საკანონმდებლო ვერმიშელი" უწოდა.

მხოლოდ ერთი მინისტრია, რომელსაც დიდი სურვილი აქვს თავის უწყებაში რეფორმები შეიტანოს. ეს გახლავთ ბ-ნი შვარცი.

ამ ნახევარ წლის წინად უნივერსიტეტთა შესახებ წარმოადგინა ახალი კანონ-პროექტი. ამ ცოტა ხნის წინათ კიდევ საშუალო სკოლას დაუპირა გარდაქმნა; მაგრამ მისი პროექტი და მისი რეფორმა იმდენიდ შეუსაბამო გამოდგა, რომ საშუალო და უმაღლეს სკოლის მდგომარეობის გაუმჯობესების მაგიერ, ისე აუარესებდა თვით ახლანდელ მათ მდგომარეობას, რომ „ნოვოე ვრემია"-მაც კი დაიწუნდა—ეს პროექტები არ ვარგანან, ცხოვრებას არ შეეფერებაო.

ამის შემდეგ, რაღა საკვირველია, რომ რუსეთის ეგრედ წოდებულ „უმაღლეს საკანონმდებლო დაწესებულების"—სათათბიროს—სესსიის დაწყებას, ინტერესი არა აქვს; რაღა საკვირველია, რომ მისი სიცოცხლე უმნიშვნელო და უფერულია; რაღა საკვირველია, რომ ამ ერთად-ერთ წარმომადგენლობითი დაწესებულების გარშემო, რომელიც ეხლანდელ შავ ბნელ დროში დიდ ინტერესს უნდა იწვევდეს, „კვლავ სიჩუმე და კვლავ დუმილია".

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

23 სექტემბერი.

### საზღვარ-გარედ

**პარიზი**. პორტუგალიის აქაურ საელჩოში კერძო ცნობები მიიღეს, რომელიც ამოწმებს, რომ ლისაბონში რევოლუციამ იფეთქა.

**ბერლინი**. საიმპერიო კანცლერმა უცხოეთის კორესპონდენტთა კავშირს თანაგრძნობა გამოუცხადა მოაბიტის არეულობის დროს ჟურნალისტების შეურაცხყოფის გამო. შინაგან საქმეთა სამინისტრომ ამ საქმის თაობაზე გამოძიება დანიშნა. სამინისტრო განიხილავს ბეჭდვითი სიტყვის წარმომადგენელთა გამოსარჩლების საქმეს.

**პარიზი**. გაზეთ „მატენსა" და „ეკო-დე პარიზ"-ს მიუღიათ ცნობა რადიო—დეპეშით პორტუგალიის ზღვაზე მდგომ გემიდან, რომ ღამის სამ საათზე სამხედრო გემებმა მეფის სასახლეს ზარბაზნები დაუშინეს. ფლოტი და ჯარის უმეტესი ნაწილი რესპუბლიკანელებს ემხრობიან. ქალაქი მთლად მოწყვეტილია და მიმოსვლა შეჩერებული.

**პარიზი**. სამედიცინო აკადემიაში გოლოპპისაგან მიღებულ ცნობის შემდეგ, პროფესსორი ნეტერი და ექიმი ბალცერი გამოესარჩლნენ ერლიხის პრეპარატს; ისინი ამტკიცებდნენ, რომ სიკვდილი და დაყრუვება უეჭველად ამ პრეპარატის გავლენას არ გამოუწვევიაო.

**ვაშინგტონი**. საზღვაო უწყებამ კონგრესის წინაშე იშუამდგომლა, რათა გადასდონ ახალი თანხა ორ საომარ ბუქსირისა და ორ წყალქვეშ მავალ ნავის გასაკეთებლად. ესენი ჩინეთის ზღვაზე მიმოსავლელადაა საჭირო.

**მუკდენი**. მანჯურიაში მყოფი იაპონიის წარმომადგენელნი სეულში გაიწვიეს. ისინი დაესწრებიან კორეა-მანჯურის რკინის გზაზე დასაწესებელ ტარიფის გამო თათბირს.

**თეირანი**. ემირ-მუჯაჰიდი მთავრობის ჯარმა დაამარცხა. ემირმა დასტოვა დემავენდის სოფლები და მაზანდარისკენ გაეშურა ჯარის შესაკრებად.

ქუმანში ხალხის ბრბომ დაანგრია სასამართლო, პოლიციისა და მარილის საწყობის გამგეობის შენობები.

ყაზვინიდან სამი ვერსის მოშორებით კვლავ გაძარცვეს ფოსტა.

ასტრაბადის თურქმენებში მოძრაობა ახლდება. ბახტიარები გადააყენეს გუბერნატორობიდან. ჩრდილოეთისკენ გუბერნატორად (ტეზში) იხტიშამულ-მულკი დანიშნეს, ისპაჰანში—მუტამოლ-კადანი. არდებილის გუბერნატორად დანიშნეს ბახტიარი სერდარ მუხტეშიმი. 300 ბახტიარი გაიგზავნა შახსევანების დასამშვიდებლად.

**ბერლინი**. გარდაიცვალა ცნობილი კრიტიკოსი ლეიდენი.

**პარიზი**. გაზეთი „აქსიონი" ამტკიცებს, რომ ავსტრიასა და ოსმალეთს შუა ხელშეკრულება არსებობსო. ავსტრია უზრუნველჰყოფს ოსმალეთს ბალკანეთის სახელმწიფოთა მთლიანობაში; ხოლო ოსმალეთი მოვალეა არ მიემხროს სამთა კავშირის წინააღმდეგ ამხედრებულ სახელმწიფოებს.

**სტამბოლი**. საბერძნეთისა, სერბიისა და ბოლგარიის დეპუტატებმა (კონსტანტინოპოლის წარმომადგენელთ) პროტესტი განუცხადეს ვეზირს, მონასტერში აუარებელ ბერძენთა და სლავიანთა დატუსაღების გამო. ბაირამობის გამო სულთანი მეჩეთში წავიდა და სასახლეში დიდებულებსა და გენერლებს იღებდა. მინისტრებიც უქმობენ, სამი დღეა რაც გაზეთები არ გამოდის.

**გიბრალტარი**. კრეისერი „ნიუკესტალი" და „მინერვა" გუშინ საღამოთი ლისაბონისკენ გაემართნენ, ბრძანებისამებრ.

**ლონდონი**. პარიზიდან გაზეთებს ატყობინებენ, რომ ადგილობრივ ბრაზილიის მისიას ცნობით, პორტუგალიის მეფე მანუელი ამ ჟამად ბრაზილიის სამხედრო გემზე „სან-პაულოზე" იმყოფება.

**სტამბოლი**. ხედივი საკუთარის გემით ეგვიპტეს გაემგზავრა.

**მადრიდი**. კაბინეტმა მიიღო ერთი მეორის მოწინააღმდეგე ცნობა-

ნი ლისაბონში მომხდარ საქმეთა შესახებ. ერთის ცნობით, აჯანყდა არტილერის პოლკი და შეებრძოლა მესამე პოლკს. მეფე ერთის ცნობით გემზე იმყოფება, მეორე ცნობით ხმელეთზე, მესამეთი-კი—ტყვედ ჰყავთ რევოლუციონერთ სამხედრო გემზე. მოძრაობამ იფეთქა დამით 21 სექტემბერს. იტალიისა და ისპანიის მთავრობათ გაგზავნეს ლისაბონში თავისი სამხედრო გემები. ხმა დადის, რომ ბრძოლა გრძელდება.

**ლისაბონი.** დილის 8 საათზე მთავრობის ერთგული ჯარები, რომელნიც დონ-პედროს მოედანზე იდგნენ, შეუერთდნენ რევოლუციონერთ და თავის კაზარმაში დაბრუნდნენ. ბრბო მათ აცილებდა ყვირილით: „გაუმარჯოს რესპუბლიკასო“!.

**ბერლინი.** ვოლფის სააგენტოს ცნობით, 21 სექტემბერის დღიური: ლისაბონში მდგომარეობა გამოურკვეველი იყო. რესპუბლიკის მხარეს გადავიდა რამდენიმე პოლკი, ორი სამხედრო გემი და საზღვაო კაზარმა. მეფის ერთგულ ჯარებს სატახტო ქალაქის შუა-გული ეჭირათ. იუწყებოდნენ, რომ ლისაბონში ელიან ჯარებს პროვინციიდან მთავრობის დასახმარებლად. მტკიცდება ხმა შესსესი-დადესის (კოშკის?) ზარბაზანთა დაშენის შესახებ. როგორც ხმა დადის, მეფე და დედოფალი სამხედრო გემზე იმყოფებიან. როგორც სჩანს უცხოელებს ჯერ არაფერი ზიანი მოსვლიათ.

**მადრიდი.** მინისტრ-პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მთავრობამ მიიღო გუშინ საღამოს ცნობა ლისაბონის ამბების შესახებ თავის ლისაბონელ დესპანისაგან, რომელმაც ატტაშე გაგზავნა ისპანიის საზღვარზე დეპეშის მისაცემად.

**მადრიდი.** მიიღეს ცნობა, რომ გუშინ საღამოს ორი აჯანყებული პოლკი გამმაგებულად შეებრძოლა როიალისტებს. პორტუგალიის კაბინეტმა ურჩია მეფეს სასახლე დასტოვოს. სახლიდან გამოსვლისას მეფეს მიესალმა ისპანიის დესპანი, რომელსაც მეფემ განუცხადა განზრახვა დასტოვოს თავისთან მხოლოდ რამდენიმე პირი თავის ამალისა. როგორც ხმა დადის, მეფე გაემგზავრა სინტრაში თავის დედასთან. ორსავე ეტყობა სულის მშვიდობა. ფლოტის უმეტესი ნაწილი რევოლიუციონერთა მხარესაა. მშვიდობიანობაა

**ლისაბონი.** მე-16 ქვეითა პოლკი და არტილერია აჯანყდა და კაზარმები მიატოვა. მოხდა შეტაკება მუნიციპალ გვარდიასთან. ზიანი ორსავე მხარეზე დიდია.

**ლისაბონი.** შედგა დროებითი მთავრობა: პრეზიდენტი ტეოფილო ბრაგა, გარეშე საქმეთა მინისტრი—ბერნარდინო მაჩადო, სამხედრო—პოლკოვნიკი ბარეტტო, საზღვაო—გიმრა, სამოქალაქო გუბერნატორი—ლეაო, საველე არტილერიამ ზარბაზნებით სალამი მისცა ახალ ბაირაღს, რომელიც მუნიციპალიტეტის შენობაზე გამოჰკიდეს.

**პარიზი.** პორტუგალიის ფონდებს დააკლდა ოთხ ფრანკზე ნაკლები.

პარიზის ბირჟას არ ეშინია პორტუგალიურ ფინანსების მეტად გაუარესებისა. გაზეთ „ტანს“ მადრიდიდან დეპეშით აუწყებენ: მანუელ მეფე უნდა იყოს ინგლისის გემზე. რამდენიმე გაზეთი ამტკიცებს, რომ მანუელ მეფე გემ „სან პაულზ“-ე იმყოფებაო.

**ლონდონი.** სინტრიდან დეპეშის ცნობით, ლისაბონი მეამბოხეთა ხელშია. როგორც ხმა დადის, მეფე გაიქცა პორტუგალელთა ნაღმოსნით.

### ფ რ ე ნ ა

**პეტერბურგი.** დილით სამხედრო დირიჟაბლი „გოლუბი“ 4 მგზავრით აფრინდა, 2 საათის განმავლობაში პეტერბურგის შუაგულამდე მიაღწია და უკანვე დაბრუნდა. ამავე დროს დირიჟაბლი „კრეჩი“-ც აფრინდა; ოცი წუთის შემდეგ დაეშვა; საჭე მოსტყდა.

**პეტერბურგი.** ფრენის მესამე დღეა. სისწრაფით აფრენისათვის პირველი ჯილდო აფიცერთა საზოგადოების რუდნევმა მიიღო იგი ხუთი წამის განმავლობაში ასცილდა მიწას ფარმანის ბიპლანით; მეორე ჯილდო მაციევიჩს ერგო.

ფრენის ხანგრძლივობისთვის პროფესიონალთა საზოგადოების ჯილდო მიიღო ფარმანის ბიპლანით აფრენილმა ეფიმოვმა. ჰაერში 26 წუთს დაჰყო: მეორე ჯილდო ერგო უტოჩკინს, ჰაერში დაჰყო 24 წუთს. სიმაღლეზე აფრენაში რუდნევმა გაიმარჯვა; იგი 23 წუთს განმავლობაში 1300 ადლზე ავიდა; ეფიმოვი აფრინდა 1000 ადლის სიმაღლეზე, ხოლო უტოჩკინი—300 ადლის სიმაღლეზე.

სამხედრო ავიატორებმა მგზავრებიც გაიყოლეს. ამავე დროს ჰაერო-დრომზე მოფრინდა დირიჟაბლი „გოლუბი“, რომელსაც ხელმძღვანელობდა კაპიტანი გოლუბევი. იგი ერთი საათის შემდეგ პარკში გაბრუნდა. მანგოლფერში აფრინდა დრეკნიცკი ჰაერო ნავებით და პარაშუტით დაეშვა მიწაზე.

**პეტერბურგი.** შტაბს-კაპიტან შაბსკის ხელმძღვანელობით აფრინდა დირიჟაბლი „ზოდიაკის“ ტიპისა, 9 მგზავრით. დირიჟაბლი დაშავდა, მაგრამ მშვიდობიანად დაეშვა ძირს.

### რ უ ს ე თ ი

**ხარბინი.** ჩინეთის გაზეთები აღნიშნავენ, რომ გადასახლების მოძრაობამ მანჯურიაში ხუნხუზების მოძრაობას ხელი შეუწყოვო.

**პეტერბურგი.** კომერციულმა სასამართლომ დააწესა ადმინისტრაცია განსაზღრულის პასუხისმგებლობით რუსეთის ქვა-ნახშირის მადაროების საზოგადოებათა საქმეების შესახებ.

**კიევი.** გუბერნატორის თავმჯდომარეობით დაიწყო საგუბერნიო აგრონომიულ საბჭოს თათბირი. გადასწყვიტეს 1911 წ. აგრონომიულ ზომებისათვის გადასდონ 15,609 მან.

**ცარიცინი.** ქალაქის საბჭომ გადასდო 300 მან. რომანოვთა სახლეულობის 300 წლის სადღესასწაულო ძეგლის ასაგებად.

**მოსკოვი.** დააპატიმრეს ყოფილი სოფლის მწერალი პეტუხოვი, რომელიც ანარქისტთა პარტიის საპასპორტო ბლოკებს აძლევდა.

**კავკავი.** ასაინის ხეობაში ზელიმ-ხანთან შეტაკების დროს მოკლულ ანდრონიკაშვილისა და აფანასიევის გვამი მოასვენეს. ბევრი ხალხი მიეგება. ჯარი ჩამწკრიებული იყო აქეთ-იქით. მოკლულ ანდრონიკაშვილს დარჩა ცოლი და ოთხი პატარა შვილი. მნახველთა ჩვენებიდანა სჩანს, რომ ყაჩაღებს სამი მიუვალიანი საფარი ჰქონიდათ ვიწრო ხეობაში, საიდამ 5 საათს გასტანა. ყაჩაღები იძულებული გახდნენ საფარი მიეტოვებინათ. ერთი ყაჩაღი მოჰკლეს, ერთი—დასჭრეს. მოკლულია ორი აფიცერი და ექვსი ჯარის კაცი; დაჭრილია ერთი აფიცერი და 7 ჯარის კაცი.

**კაინსკი** ქალაქის ახლომახლოდ დაეცნენ „სახაზინო არყის“ მომავალ ქარავანს. მეეტლე დასჭრეს, არაყი და ცხენები გაიტაცეს.

**ბაქო.** სოფ. ლაკ-სა და ალიჯაშალის (გოგჩის მაზრა) მცხოვრებნი ერთმანეთს დაერივნენ; მიზეზი ჭირნახულის წახდენაა. ორი მოჰკლეს, დაჭრილი ბევრია.

### ხ ო ლ ე რ ა

**პეტერბურგი.** სააგენტომ მიიღო შემდეგი ცნობანი ხოლერის მოძრაობის შესახებ: ამ კვირის განმავლობაში ასტრახანის გუბერნიაში ავად გახდა 2; ბაქოს გუბერნიაში—13, მოკვდა 12; კავკავში 1 დან 20 სექტემბრამდე ავად გახდა 8, მოკვდა 4, ამავე ოლქში ავად გახდა 128, მოკვდა 57.

## ახალი ამბები

### ტ ფ ი ლ ი ს ი

**ტფ. ქალაქის სასწავლებელთა გამგე კომისიაში.** 22 სექტემბერს ბ ნ ფიშერის თავმჯდომარეობით ქალაქის სასწავლებელთა გამგე კომისიის წევრთა კრება მოჰხდა. კრებამ გაანაწილა ის 39.780 მან., რომელიც ქალაქის უმაღლესმა მთავრობამ ყოველ წლიურ შემწეობად დაუნიშნა ქალაქის პირველ დაწყებით სკოლების საჭიროებისათვის. კომისიამ გადასწყვიტა მცირე ნაწილი ამ ფულისა მოახმაროს 1911 წელს ახალ სკოლების გახსნას, ხოლო დანარჩენი დახარჯოს სკოლების საკუთარ შენობების ასაგებად.

**მთავარ-დიაკონის დაპატიმრება.** როგორც გადმოგვცეს, სურამში დაუპატიმრებიათ ადგილობრივ ეკლესიის მოხუცი მთავარი სოკრატ სულიაშვილი. როგორც ამბობენ, დაპატიმრებას კავშირი აქვს ამას წინად სურამში გიმნაზიელის მოტაცებასთან.

**ტფ. ქალაქის მოურავის არჩევნები** უკვე წარედგინა გუბერნატორს დასამტკიცებლად.

**„606“ ტფილისში.** ტფ. რკინის გზის ექიმმა ა. ნ. დიასამიძემ უკვე მიიღო ერლიხისაგან რამდენიმე შუშა პრეპარატ „606“-ისა. უწამლებენ რკინის გზის მოსამსახურე ავადმყოფთ.

**ხოლერიანთა რიცხვი.** ქალაქის სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორის ცნობით, 22 სექტემბრის დილის 9 საათიდან 23 სექტებრის დილის 9 საათამდე ტფილისში ხოლერით ავად გახდა 1 კაცი, ხოლერიანთა სამკურნალოში იყო 3 ავადმყოფი, მოემატა—1, მორჩა და გამოეწერა—1, არის—3.

**ქართული კლუბი.** განზრახულ ქართულ კლუბის წევრთა კრება მოჰხდება 3 ოქტომბერს. აირჩევენ მამასახლისს და მიიღებენ ახალს წევრებს.

**უპასპორტონი.** 22 სექტემბერს საერთო ჩხრეკა-დაპატიმრების დროს ტფილისში პოლიციამ შეიპყრო 33 უპასპორტო.

**ლექცია ფოთში.** შაბათს, 25 სეკდემბერს, ფოთის კლუბის ზალაში ნ. ი. ნიკოლაძე წაიკითხავს რუსულს ენაზე წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ფოთის განყოფილების სასარგებლოდ ლექციას „რუსეთისა და საქართველოს განწყობილების ეპიზოდი 1596—1607 წლებში“.

**ხოლერა ტფილისში.** პოლიციის ცნობით, 22 სექტემბერს ტფილისში ხოლერით არავინ გამხდარა ავად.

**ხოლერა ამიერ-კავკასიაში.** ყარსში: 21 და 22 სექტემბერს ხოლერით ავად გახდა 2 კაცი. ყარსის ოლქში (დამატებით): 11-დან 16 სექტემბრამდე ავად გახდა—8, გარდაიცვალა—4. ერევანში: 18 და 19 სექტემბერს ავად არავინ გამხდარა, 20 სექტემბერს ავად გახდა—1. ერევნის გუბერნიაში: 19 და 20 სექტემბერს გარდაიცვალა—2, დამატებით—17 სექტემბერს ავად გახდა—3. ბაქოში: 17 სექტემბერს ავად გახდა—1, 18 სექტემბერს ავად არავინ გამხდარა.

**ტფ. ქალაქის გამგეობის წევრის არჩევანი.** ქალაქის საბჭოს ხმოსნებმა გადასწყვიტეს შეუდგნენ ქალაქის გამგეობის მეოთხე წევრის არჩევანის თადარიგს. პირველი კერძო თათბირი ხმოსნებისა კანდიდატის დასასახელებლად ამ დღეებში მოჰხდება.

**ანდერძი.** უკვე შეტანილ იქმნა სახელმწიფო ბანკში განსვენებულ ი. ა. ამიროვის მიერ ანდერძით დატოვებული 5.111 მან. ეს ფული მიეცემა იმ სამეურნეო სასწავლებელს, რომელიც პირველად დაარსდება დღეის შემდეგ ტფილისში.

**„კაპეიკის კავშირი“.** 26 სექტემბერს მოჰხდება საზოგადოება „კაპეიკის კავშირის“ წევრთა საერთო კრება თავმჯდომარის და თანამდებობის სხვა პირთა ასარჩევად.

**ლექცია სახალხო სახლში.** ოთხშაბათს, 29 სექტემბერს, ძმათა ზუბალაშვილების სახალხო სახლში ლექტორი ილია ნაკაშიძე წაიკითხავს ქართულად ლექციას შემდეგ საგანზე: „ბედნიერების ძიებ“.

**ბ. მ. დოლუხანოვის ანდერძი.** ამ დღეებში გარდაცვლილმა ცნობილმა ქოული ნაფიცი ვექილი ბ. მ. დოლუხანოვი, რომელმაც დასტოვა—95.000 მან. ამ ფულიდან 20,000 მან. მიეცემა განსვენებულის ნათესავთ, 37,000 მანეთი—კაცთ-მოყვარე საზოგადოებას ბაქოში და—37,000 მან. ბაქოს სომხურ სამრევლო სკოლებს.

**ნ. გაბუნია-ცაგარლის სახსოვრად.** სიღნაღის ინტელიგენციას ექიმ ჯანდიერის მეთაურობით განუზრახავს მცხოვრებთა შორის ხელისმოწერა გამართოს განსვენებულ ნატო გაბუნია-ცაგარლის სახელობაზე მსახიობთა საურთიერთო დამხმარებელ თანხის შესადგენად.

**შალიაპინის გალახვა.** ეკატერინოდარში გავლისას შალიაპინს გადაუხდია თავის არტისტიულ მოღვაწეობის 20 წლის იუბილე. დღესასწაული ჩხუბით გათავებულა. საღამოს შალიაპინი ვახშმობდა რესტორანში ოპერეტის პრიმადონა სერგეევის ქალთან. აქ შემოიჭრა ორი ადვოკატი ჯოხებით, რომ სამაგიერო გადაეხადათ პრიმადონისათვის, რომელიც წინად დაჰპირებია მათთან ერთად ვახშმობას. მოხდა საერთო ცემა-ტყეპა. შემდეგ ადვოკატებმა შალიაპინი დუელში გამოიწვიეს. („კასპი“).

**გუშინ ტფილისში ჩამოვიდა** ოსმალეთის გენერალური კონსული ჯაფარი, რომელმაც ამავ დღეს ინახულა ა. ი. ხატისოვი, ქალაქის მოურავის მოადგილე და შემდეგ დაათვალიერა ქალაქის თვითმმართველობის ყველა განყოფილებანი.

**25 სექტემბერს სახალხო სახლთან არსებული სამუსიკო საზოგადოება „მშვენი ლიგინი“ს მაგივრად გამართავს ოპერას „ტრავიატა“-ს. მონაწილეობას მიიღებს ოპერის რამდენიმე არტისტი.**

## ფინლანდია

რუსეთის ბიუროკრატიული წრეები მეტად დაინტერესებულნი არიან ფინლიანდიის სეიმის საქციელით.

ორი უმთავრესი აზრი ტრიალებს ამ წრეებში: ყურადღება არ მიაქციონ სეიმის საქციელს, ან დაითხოვონ სეიმის კრება.

მთავრობა უფრო პირველ აზრს ემხრობა და ეს გზა უფრო საფუძვლიანი და ხელ-საყრელი ჰგონია.

როდესაც მთავრობა სრულიად საიმპერიო კანონებს იმუშავებდა, მაშინვე მხედველობაში ჰქონდა მოსალოდნელი დაბრკოლებანი სეიმის

# ბ რ მ ე ნ ი

(ბერძნული ზღაპარი)

### ვ. დ ო რ ო შ ე ვ ი ჩ ი ს ა.

ვინმე აქსელოსი, შთამომავლობით ბეთიელი, ხოლო სულით საპყარი სავაჭრო საქმისათვის ათინაში მოხვდა.

დაათვალიერა აკროპოლი.. მაღალი ცათამდე აღმართული.

იყო დიონისეს თეატრში. თეატრი მარმარილოსაგან იყო აგებული

მოისმინა საუკეთესო არატორები. ძლიერ ბევრს ლაპარაკობდნენ.

ბეთიელმა მოისურვა სოკრატის ნახვა და მასთან მუსაიფი.

— ათინაში იყო კაცი და სოკრატთან არ იბაასო? მაშ რისთვის ლა აქვს მიცემული ადამიანს ენა?

ერთმა ათინელმა დაანახვა ბეთიელს სოკრატი. აკადემიის გვერდით დაფიქრებით მიდიოდა ტანდაბალი, პატარა კაცი.

— ნუ თუ ესაა სოკრატი?—გაიფიქრა აქსელოსმა. ასეთი დიდებული კაცი უფრო ტანმაღალი და წარმოსადეგენი არ უნდა იყოს?..

მიუახლოვდა სოკრატს და თავი დაუკრა.

სოკრატმა ზრდილობიანად თავის დაკვრითვე უპასუხა და თავის გზას გაუდგა.

ბეთიელმა კვლავ გაუსწრო სოკრატს წინ, შეჩერდა და ხელახლა დაუკრა თავი.

სოკრატს გაეღიმა. კვლავ სალამით უპასუხა. არ შეჩერებულია.

ბეთიელმა გადირბინა წინ და მესამედ დაუკრა თავი.

— სალამი შენ. ყველაზე უბრძნესო მომაკვდავთა შორის!

სოკრატი შეჩერდა, თვალებით გაუღიმა და სთქვა:

— იცნობ-კი ყველა მომაკვდავს ქვეყანაზედ?

— ა—არა!

— რადგანაც არა, მაშასადამე არც შეგეძლო ყველასთან გესაუბრა—ეგრე არ არის?

— ეგრე გახლავთ.

— მაშ საიდამ იცი რომ მე ყველაზედ უბრძნესი ვარ? ნუ თუ არ სჯობდა გეთქვა: მე ვგონებ რომ შენ ბრძენი უნდა იყო მომაკვდავთა შორის?

— მართლაც ეგრე სჯობდა.

— ვინც სცდილობს დაამტკიცოს ის, რაც საფუძვლიანად არ იცის, ის ან ქარაფშუტა უნდა იყოს, ან სულელი. ასე არ არის?

— დ... დიაღ!

— მაშასადამე შენ თითონ გადასწყვიტე რომელს ეკუთვნი.—„ოჰო“—გაიფიქრა ბეთიელმა და სთქვა:

— მაშ რა მექნა როდესაც შენ არას ამბობდი!

რა არის ვარდი თუ მას სურნელება თან არ სდევს და ბრძენი, თუ იგი მდუმარებს.

სოკრატმა გაიღიმა.

— ძლიერ კარგი. მიპასუხე: იცის ცხენმა ჭიხვინი?

— იცის.

— ხარმა ბღუილი?

— რასაკვირველია.

— ბატკანმა ბღავილი?

— უეჭველია.

— მერე რა, ცხენი გამუდმებით ჭიხვინებს?

— რასაკვირველია არა!

— ან შეიძლება ხარი მუდამ ბღაოდეს?

— მუდამ რადა?!.

— ან იქნება ბატკანი გამუდმებით ბღაოდეს?..

— არც ბატკანი.

— გინახავს რომ ცხენი ჭიხვინებდეს, როდესაც ძროხას ხედავს?

— არა.

— ან ხარი ბღაოდეს ცხვრის დანახვაზე, ან ბატკანი ბღაოდეს, როცა ხარს ხედავს?

— არა, არა და არა!—ღიმილით მიუგო ბეთიელმა.

— ცხენი ვგონებ ცხენის დანახვაზედ ჭიხვინებს?

— დიაღ.

— ხარი ბღუის ძროხის მოახლოვებაზე?

— ეს ყველამ იცის.

— ცხვარიც მაშინა ბღავის, როდესაც ფარასა ჰხედავს.

— მართალია.

— ერთი სიტყვით, ჩვენ შეგვიძლიან, ვსთქვათ რომ ცხენი ჭიხვინებს, ხარი ბღუის, ბატკანი ბღავის მხოლოდ მაშინ, როდესაც ისინი თავისსავე მსგავსსა ჰხედავენ.

— შეგვიძლიან ვსთქვათ, — რატომ არა?

— სჩანს ეს ბუნების კანონი ყოფილა, და ბრძენი, როგორ ფიქრობ, უნდა ალუდგეს ბუნების მოვლენას?

— არა.

— ძლიერ კარგი. თუ ცხენი ჭიხვინებს, ხარი ბღუის და ბატკანი ბღავის მხოლოდ თავისი მსგავსის დანახვის დროს, მე რა საბუთი მქონდა, მეგობარო, დანახვისათანავე შენ გამოგეპასებოდი?... ამ სიტყვებთან ერთად სოკრატმა ღიმილით გადახედა, მოსაუბრეს და გზას გაუდგა.

„წყეულიმც ვიყო!“—წარმოიძახა მწარედ თავისთვის აქსელოსმა. ორჯერ, ზედი-ზედ მე თვითონ ვუწოდე ჩემს თავს სულელი!.. ეს დაემართება მხოლოდ ბეთიელს და ისიც ათინაში.

ცოტა ხნის შემდეგ მან გაიფიქრა. „სიბრძნე, როგორცა სჩანს, არც ისე ძნელი საქმე ყოფილა“.

და უსიამოვნო ბაასის შემდეგ, რომ გართულიყო, მიაშურა გეტერეს.

გეტერა ხრიზისი თავისი დარბაზის ფანჯრის წინ წამოწოლილიყო შეღებილის სახით და ძვირფასი სამკაულებით.

— მომიახლოვდი გაბედულად, ლამაზო!—დაუძახა გეტერამ აქსელოსს, როდესაც იგი მის დარბაზთან შეჩერდა.

ბეთიელმა ეშმაკურად გაიღიმა.

— რასთვის გაძლევენ ფულებს?—იკითხა მან.

გეტერამ გაკვირვებით ახედ-დახედა უცხო მოსაუბრეს.

— მიტომ რომ მე ქალი ვარ!

— მაგრამ ყველა ქალებს რომ არ აძლევენ ფულებს? შენ უნდა სთქვა: მიტომ რომ ლამაზი ვარ-თქო.

— ეგრე იყოს. ფულს მაძლევენ სილამაზისათვის

ბეთიელმა ჭკუას ძალა დაატანა.

— შენ თითონ მიწოდე ლამაზი და მომიწოდე შენთან—ალბად იმიტომ რომ ფულები მომცე?—ეგრე არ არის?

გეტერამ ისე გულიანად გადიხარხარა რომ კინაღამ ფანჯრიდამ გადმოვარდა.

— სიცილზე გეტყობა რომ შენ ან თავქარიანი უნდა იყო, ან სულელი!

— რაო?.

გეტერა ზეზე წამოიჭრა.

— ათინაში შეურაცხყოფენ ქალს? მერე როდის? რომელსაც არავისათვის სიამოვნების მეტი არ მიუნიჭებიარა? მსახურნო! წაიყვანეთ ეს ბრიყვი და გადაისროლეთ შორს, შორს ჩემ სახლიდამ.

ორი მონა, რომელთაც ძარღვები მკლავებზედ გველებივით უთამაშებდათ ბეთიელს გარს შემოერტყნენ და ბურთივით გააგორეს ჯვარედინ გზაზე.

— „თურმე ფილოსოფოსობას ხშირად ცუდი ბოლოც მოსდევს!“ აქსელოსმა ძლივს წამოსწია მალა დაჟეჟილი სხეული.

მეორე დღეს მოედანზე ხალხს ჟრიამული გაჰქონდა. ღაიით სოკრატი დაეტუსაღებინათ, სამართალში მიეცათ და სიკვდილი ჰქონდა გადაწყვეტილი.

— მისი ფილოსოფოსობის გულისათვის!

— მე კიდევ ძლიერ იაფად გადავრჩი!—გაიფიქრა ბეთიელმა და აჩქარებით დასტოვა ათინა.

მეგობრები შეიკრიბნენ აქსელოსთან ათინის ამბების მოსასმენად.

აქსელოსმა უამბო მათ დიდებულება აკროპოლისა, მშვენიერება დიონისეს თეატრისა, სიბრძნე ორატორებისა და გულკეთილობა გეტერებისა.

— სოკრატიც ნახე?—დაეკითხნენ მეგობრები.

აქსელოსმა მწუხარე სახე მიიღო.

— მეგობრებო! სოკრატი მე მესაუბრა უკანასკნელს, სანამ მას საწამებლად წაიყვანებდნენ და მოისურვა თავისი სიბრძნე ჩემთვის გადმოეცა!..

ყველამ მოწიწებით წამოიძახა:

— მოწაფე სოკრატისა!

— სოკრატმა იცოდა, ვინც უნდა აერჩია!

— აქსელოს ნშეემუდარენ მეგობრები: გადმოგვეცი ჩვენც სიბრძნე სოკრატისა! გვესაუბრე როგორც სოკრატი!

აქსელოსმა თითი მაღლა აიშვირა.

— ტ... ს... მეგობრებო! ხომ კარგად იცით სოკრატის ხელი?.. გინდათ რომ მეც ესეთივე ბედი მეწვიოს?..

ყველამ შიშით ერთმანეთს გადახედეს.

— ოჰო, ღმერთმა დაგვიფაროს!

— ოჰო, ეგ უეჭველი ბრძენია!..

ამის შემდეგ აქსელოსი ამბობდა მხოლოდ ჩვეულებრივ აზრებსა და სიტყვებს, მაგრამ ყველა მოწიწებით ექცეოდა.

მდუმარე ბრძენის სახელი და დიდება მალე მოეფინა მთელ არე-მარეს, მთელ საბერძნეთს..

მხრივ. სწორედ ამ დაბრკოლების თავიდან ასაცდენად იყო აღიარებული, რომ თუნდაც სეიმი არ დაეთანხმოს ამ დებულებათ, მაინც უნდა დამყარდეს სრულიად საიმპერიო კანონებით.

როგორც ხედავთ, მთავრობას წინდაწინვე გადაუწყვეტია ფინლანდიის ბედი და განუზრახავს ამის ჰულისათვის არავითარ ზომების მიღებას არ მოერიდოს.

მაგრამ უკიდურეს რეაქციონერთა წრიდან დაბეჯითებით მოითხოვენ, რათა დაუყოვნებლივ გარეკონ სეიმი. უკეთუ მთავრობა ასე არ მოიქცევა, თავის სუსტობას და გამბედაობის უქონლობას დაამტკიცებს. ამათის აზრით, სწორედ ახლაა შესაფერი დრო, რომ ერთხელ და სამუდამოდ გამოირკვეს, თუ რას წარმოადგენს ფინლანდია.

სეიმის და დადგენილების უყურადღებოდ დატოვება ფრიად სახიფათოაო.

მინისტრთა კაბინეტი იმ აზრისაცაა, რომ ახლა რაიმე რეპრესიების მიღება პირდაპირ სახელს გაუტეხს სრულიად საიმპერიო კანონებსაო.

მთავრობა თანდათანობითა და მშვიდობიანის გზით უნდა ეცადოს თავის სურვილებისა, მიმართულების და გავლენის განმტკიცებას ფინლანდიაშიაო.

ამ საკითხის განხილვა ამ თვის გასულს მოხდება, როცა სტოლიპინი პეტერბურგს დაბრუნდება. (რეჩი)

# ნაძალადევში

## მიწების გამოსყიდვის შესახებ

(ტფილისის ქალაქის მამების საყურადღებოდ).

ყველამ იცის, რომ დღევანდელი ნაძალადევი 10—20 წლის წინად დაუსახლებელი უდაბნო და გაუვალ ხევ-ღელეებითა და ხრამ-ღრანტეებით დასერილი ადგილი იყო. მაგრამ მუშა ხალხის დაუღალავმა შრომამ გაამშვენიერა ეს ადგილი და საცხოვრებლად გამოსადეგი გახადა. მერე არ იკითხავთ, რამდენმა დაჰკარგა ჯან-მრთელობა და მადლი მუშაობისა ამ უსწორ-მასწორ გორაკებიან ადგილების გასწორებაში*)?

აბა, გადახედეთ სად არის აღმართულნი ქოხები! უყურებთ და გიკვირთ ამ სიმაღლე გორებზე როგორ შეიძლება ცხოვრება? ან აქედან რა დამოკიდებულება უნდა იქონიო ქალაქთან? მაგრამ ნათქვამია: „გაჭირვება მიჩვენე, და გაქცევას გიჩვენებო“ სწორედ გაჭირვებამ აიძულა მშრომელი ხალხი და სახლეულიყო, და დიდ გაჭირვებასაც განიცდის! ქალაქის მამები აკი ცდილობენ ნაძალადევის გაშვენიერება — მიწყობაო. შემნიშნავს ვინმე. როგორ არა, ნახევარიც მეტია! ოთხი-მეხუთედ ქუჩებისა მოუკირწყლავია. მოუკირწყლავი ქუჩების ტალახი გადადის მოკირწყლულებზე და გზა ვეღარ გაგიკვლევიათ. ფარნები ერთიმეორისაგან თითო ვერსზეა დაშორებული. არ არის, ტრამვაი, კანალიზაცია, წყალის—გასავალი მილები,—როცა ნიაღვარი მოვარდება ხოლმე, ლამის მტკვარში ჩაგვიტანოს ზამთარში ხომ ნამდვილი ჯოჯოხეთია. ყველა ამას ზედ დაერთო ქალაქის საბჭოს უკანასკნელი დადგენილებაც ამა 22 მარტის თარიღით და ახლა ხომ სულ გავბედნიერდით!

ეს დადგენილება შეეხება ნაძალადევში მიწების გამოსყიდვას და ჰქვას ასე გვასწავლის:

1) გამოსყიდვის უფლებით სარგებლობს ყველა მოიჯარადრე, რომელსაც ხელ-შეკრულობა აქნება ქალაქთან 1911 წლ., 1 იანვრამდე. გარდა 1) იმ პირთა, რომელთაც ყავდი ხელშეკრულობისა გაუვიდათ და 1910 წლის განმავლობაში არ განაახლებენ. 2) რომლებზედაც დარჩენილთა „ნედოიმკები“ და არ გადაიხდიან მას, იმავე ვადაზე 3) მიწის გამოსყიდვის უფლებით მოიჯარადრეებს შეუძლიათ ისარგებლონ 6 წლის განმავლობაში, დაწყებული 1 იანვრიდგან 1911 წლ. უკანასკნელი ვადა განცხადების შეტანისა და გამოსყიდვის ფასის გადახდისა ითვლება 1 იანვარი 1917 წ. ვინც განცხადებას გამოსყიდვის შესახებ შეიტანს არა წლის პირველ ნახევარში, არამედ შემდეგ, იმან უნდა გადაიხადოს არა თუ ვადიანი კარდასახადი, არამედ გასულ ხანისაც. 3) ვინც დანიშნულ ვადაზე არ გადიხდას გამოსყიდვის მთელ ფულს, ჰკარგავს უფლებას მიწის გამოსყიდვისას. 4) გადახდა გამოსყიდვის მთელის ფასისა ხდება ექვს წლის განმავლობაში, 1 იანვრიდგან 1911 წლ. და უნდა იყოს შეტანილი ქალაქის კასაში, თანასწორ ნაწილებად—12 ვადაზე. ვინიცობაა თუ ვინმემ ვერ გადიხადა თავასი ვადი რომელიმე ნახევარ წლის ვადაზე, იგი ჰკარგავს უფლებას მიწის გამოსყიდვისას და წინად შეტანილი ფული ჩარიცხულ იქნება, როგორც საიჯარადრო გარდა ახალი წარსულ და მომავალ დროისა 5) ყველა ხარჯი მიწის გამოსყიდვის გამო უნდა გადაიხადოს მყიდველმა. 6) პირველ ვადიან გარდასახადის შეტანიდან, საიჯარადრო ფულის გადახდა ისპობა, მხოლოდ მის მაგიერ გარდახდებათ 4%, წლიური, მთელი გამოსყიდვის ფასისა, 7) უფლება გამოსყიდვისა არა ვრცელდება იმ ადგილებზე, სადაც არ არის აგებული შენობა და ცარიელი არის.

ამას დაუმატეთ ისიც, რომ ნაძალადევის მიწები ძალიან ძვირად არის შეფასებული (ჩორსო საჟენი 2 მან.—28 მანეთამდე) და თქვენ ადვილად წარმოიდგენთ რა სამართლიანობასაც იჩენენ ქალაქის მამები—ჩვენდამი.

10—20 წლის განმავლობაში რამდენი საიჯარადრო გარდაგვიხდია, ნუ თუ ეს ამოდენა ფული არ უნდა იყოს ჩარიცხული გამოსყიდვის დროს? მერე როცა ამისთანა საჭირ-ბოროტო საკითხს სწყვეტავდნენ ჩვენი „გამაბედნიერებელნი“ რატომ ჩვენ არ შეგვატყობინეს? ნუ თუ ამისთანა საქმის მოწყეს-რიგება შეიძლება ასე ცალმხრივად? რა უფლება ჰქონდათ მათ, გინდ ზნეობრივი და გინდა იურიდიული, რომ უჩვენოდ გარდასწყვიტეს და მორჩნენ ამ საქმეს? ნუ თუ მართლა გუშინდელი მოსული ბოგანო ხალხი ვგონივართ, რომ რაცა ჰსურთ იმას სჩადიან? მეტის მეტი სიძვირე მიწისა და პირობები გამოსყიდვისა პირდაპირ შეუძლებლად ჰხდის, რომ ჩვენ გამოვისყიდოთ მიწები, ამიტომაც, ჯერ ერთი, საჭიროა ფასები დაკლებული იქმნეს ნახევრად მაინც და, მეორე, ხანა მიწის გამოსყიდვისა გადიდებულ იქმნას 6 წლის მაგიერ 12 წლამდე, და 12 ვადის მაგიერ—24 ვადამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბარემ პირდაპირ გვითხრან ქალაქის მამებმა რომ მათ ჩვენი ნაამაგდარი მიწები გასასყიდად არ ენეტებათ. და ნაძალადევლები ისევ საწყალ ფურად უნდათ. გმადლობთ ჩვენო ბატონებო, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ რომ ჩვენც ადამიანები ვართ და ჩვენ ადამიანურ უფლებას ყოველთვის მოვითხოვთ. *)

წარმოიდგინეთ, 20,000 სულზე მეტი სცხოვრობს ნაძალადევში და ქალაქის საბჭოში კი არც ერთი წარმომადგენელი არა გვყავს! კიდეც ამიტომ ილახება ყოველ ნაბიჯზე ჩვენი უფლებები! ნუ თუ ქალაქის მამებს სოლოლაკის მეტი (ე. ი. თავიანთ თავის) არაფერი აგონდებათ? დროა დანარჩენ განაპირა უბნებსაც მიაქციონ ყურადღება.

წინადადებას ვაძლევთ ქალაქის მამებს, ერთხელ მაინც გვეწვიონ ნაძალადევში, მხოლოდ ავდრიანობაში, და ისიც ღამით და თავისი ბედნიერის თვალით იხილონ, რო-

*) მაგალითად—ნაძალადევში მცხოვრებმა ი. პ—შვილმა თავის გორაკიან «უბანტკის» სწორებაში დაჰკარგა ჯანმრთელობა, და დღეს ან ხვალ გამოეხალმება ამ წუთი-სოფელს და თავის ცოლშვილს დასტოვებს ღვთის-ანაბარად.

*) ნაძალადეველნი არ ურიგდებიან ახეთ „სამართლიან“ გარდაწყვეტილებას ქალაქისას და განსაჩივრებას აპირებენ სადაც ჯერ-არს, რაც დააჩქარებენ ამ საქმეს მით უმჯობესია.

# ბალმონტიდან

ვუძღვნი ს. აბაშელს.

შორს იტაცებდა ჩემს ოცნებას მიმქრალი ჩრდილი,
მიმქრალი ჩრდილი მიმქრალის დღის, ძალ მილეული.
კოშკზე ვიდოდი და მის კიბე მთლად ირყეოდა,
მთლად ირყეოდა ჩემს ფეხთაგან დამძიმებული.
რაც ზე ვიდოდი, უფრო ცხადად მეხატებოდა,
მეხ ლანდოდა ცის ფერადი ნაზ სურათადა.
და უცნაური, უჩვევი ხმა შორით ისმოდა,
შორით ისმოდა უჩვევი ხმა ქვეყნად და ცადა.
მაღლა ასული ნათლად ვმზერდი, შუქი რომ ერტყა,
შუქი რომ ერტყა მთვლემავ მთების მაღალ მწვერვალებს,
გამოსალმების სუსტის შუქით თითქოს ჰკოცნიდნენ,
თითქოს ჰკოცნიდნენ ამ სიტურფით დამთვრალ ჩემს თვალებს.
ძირს, ჩემსა დაბლა, უკვე ღამემ დაისადგურა,
დაისადგურა ძილად წასულ მიწისათვისა,
მარტოდენ ჩემთვის დღის მნათობი კვალად ბრწყინავდა,
კვალად ბრწყინავდა ჩემს გარშემო წიაღი ცისა.
და მე შევიგენ მიმქრალ აჩრდილთ იდუმალება,
იდუმალება ფერწასულის, მიმქრალის დღისა,
თან ზე ვიდოდი და საფეხურთ გაჰქონდათ რყევა,
გაჰქონდათ რყევა, როს ჰხვდებოდა ჩრდილი ფეხისა.

რ. ზებიაშვილი.

გორ ვიხრჩობით ხოლმე ტალახის მორევში.

გუშინ, თუ გუშინ წინ ქალაქის მოურავად ამოირჩიეს ა. ი. ხატისოვი, რომელმაც სხვათა შორის, ფიცი დასდო რომ ქალაქის ყველა ეროვნებისა და მდგომარეობის მცხოვრებთათვის ერთ გვარად იზრუნებს. ნაძალადევში თითქმის სულ მუშა ქართველები ვცხოვრობთ. იმედია, რომ ბ-ნი ხატისოვი თავის პირველ ზრუნვას ჩვენკენ მოაპყრობს და მით ალაგმავს იმ ბოროტ ენებს, რომელიც მას მარტო სომხებისა და სომხების უბნებისათვის გულ შემატკივრობას აბრალებენ. ნაძალადევის მოწყობა და ნაძალადეველთა „მიწის საკითხის“ მოწესრიგება დიდებული მაგალითი იქნება ბ-ნ ხატისოვის ინტერ-ნაციონალობისა, დემოკრატობისა და სამართლიანობის დასამტკიცებლად. მაშ იმედი ვიქონიოთ.

ე. მუშიშვილი.

# მოწერილი ამბავი

**ახალციხე.** 14 ს ამ თვეს, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ბ. რუდოლფის თანადასწრებით აკურთხეს ადგილობრივი ახალად დაარსებული პროგიმნაზია ვაჟთათვის.

კურთხევას დიდძალი ხალხი დაესწრო; გიმნაზიის შენობა მწვანე შტოებით, ცოცხალი ყვავილებითა და დროშებით იყო მორთული. პროგიმნაზიის წინ ქუჩაში, მზრუნველის შესახვედრად ერთ მხარეს პროგიმნაზიისა და სამოქალაქო სასწავლებლის მოსწავლეები და მეორე მხარეს, ადგილობრივ ხელოსანთა საამქრო დროშები გამწკრივებული იყვნენ. აქვე იყო სამხედრო მუსიკაც. 12 საათი გადასული იყო, როდესაც მოვიდა. თან ახლდა სახალხო სკოლების ინსპექტორი ბ. ნი სემენოვი. მუზიკამ მარში დაუკრა. მზრუნველი პირველად მოსწავლეებს მიესალმა და შემდეგ პოლიციისა და ქალაქის წარმომადგენლებს. აქედგან გასწია პროგიმნაზიაში.

სიტყვის კურთხევის დროს დეკანოზმა დ. სახეტაშვილმა გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა. სიტყვა შეეხებოდა უმთავრესად სწავლა განათლების მნიშვნელობასა და მის გავლენას ხალხზე.

კურთხევის შემდეგ ოლქის მზრუნველმა რუდოლფმა დამსწრე საზოგადოებას მოულოცა პროგიმნაზიის დაარსება და მოკლედ განუმარტა ამ სასწავლებლის მნიშვნელობა. შემდეგ მზრუნველის სიტყვისა, წაიკითხეს გუბერნატორის ტელეგრამმა რომელიც ახალციხის საზოგადოებას პროგიმნაზიის გახსნას ულოცავდა. მზრუნველის სიტყვასა, და გუბერნატორის ტელეგრამას საზოგადოება ვაშას ძახილით მიეგება. სამხედრო მუზიკამ შეასრულა რუსული საერო ჰიმნი. მეორე დღეს მზრუნველმა დაათვალიერა ადგილობრივი სასწავლებლები. და უკმაყოფილო დარჩა. რაბათის ქართველთა სასწავლებლის დათვალიერება კი ვეღარ მოასწრო. მზრუნველმა პროგიმნაზიის შენობაც ძალიან დაიწუნა, ქირაც იძვირა: ქალაქი წლიურად იხდის 2700 მანეთს.

ამ ჟამად პროგიმნაზიაში ორი მოსამზადებელი განყოფილება და ერთი კლასი—პირველი. მოწაფეთა რიცხვი 71 ავიდა.

მესხი კ. გვარამაძე.

**ს. ონოლია** (სენაკის მაზრა). ამ ჟამად ხალხი დიდ სიღარიბეს განიცდის. მთავრობის მამასახლისი და ჩაფარებიც მეტ ბარგად აწევს სოფელს. ყველა ამას ისიც ემატება რომ მთელ სურნალ შხამს თავ წუდუკიძეები იხემებენ და ონოდიელები ლამის უმიწაწყლოდ დარჩნენ

ონოდიაში მცხოვრებთა უმეტესი ნაწილს თითო ქცევა მიწა თუ მოეპოვება, დანარჩენი კი სურნალში აქვსთ. და თუ იგი თავადებმა დაიჩემეს, ძნელი სათქმელია, რითი უნდა ირჩინოს თავი აქაურმა გლეხებმა.

ონოდიაში დაამტკიცეს ორ-კლასიანი სამრევლო სკოლა. სოფელმა მიწა უნდა იყიდოს და შენობა აგოს.

1907 წელს აქ დაიწყეს ეკლესიის გზის გაყვანის შემოვლება. აგერ შვიდი წელიწადი გადის მას შემდეგ, და გაყვანი ჯერაც დაუმთავრებელია, რის გამოც პირუტყვი და ოთხთვალი საქონელი აბინძურებს ეკლესიის გზას. ეკლესიის გზა სატყარი სანახავია. თითქმის ყველა საქონელი ამა სოფლისა იქ ბალახობს. ღორები სჩიჩქნიან მიწას და ახალი სათლავები ლამის სულ გადასთხარონ. კარგი იქნება ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს ადგილობრივმა კრებულმა და ბლაღოჩინმა, რომ ეს გაყვანი დროზე დაამთავრონ.

მართაშვილი.

—

**სოფ. ნინოწმინდა** (ტფილ. მაზრა). 18 სექტემბერი ბედნიერი დღე იყო ნინოწმინდლებისათვის. ამ დღიდან ჩვენთვის ახალი ხანა იწყება. დღევანდელ დღეს გამოვიყვანეთ მშვენიერი წყაროს წყალი „ორკოშნელი“ 2 ნახ. ვერსის სიშორიდან.

ყოველ მხრიდამ ეშურებოდნენ, რომ ეხილათ დიდებული სახე დიდებულის ბრძენისა.

ვინც მოსთხოვდა ხმა მაღლა ეთქვა რამ გონიერული, ბრძენი მყისვე სოკრატის მწარე ხვედრს მოაგონებდა.

გაიგონებდნენ სადმე ჰკვიან სიტყვას, აზრს:

— ეს ალბად აქსელოსის ნათქვამიაო.

მთელი საბერძნეთი აივსო ამგვარი ბრძნული ნაამბობით. ამაყობდნენ, ხარობდნენ.

და როდესაც ღრმად მოხუცებული აქსელოსი გარდაიცვალა, მის მარმარილოს ძეგლზედ დააწერეს:

**ა ქ ს ე ლ ო ს**

**დიდებული ბრძენი,**

**მოწაფე სოკრატისა**

ამ ზედ წარწერის ძალით აქსელოსის აჩრდილი იმ ქვეყნად პირ-დაპირ ელიზში მოჰყვა.

იქ, პატარა—ხეივანში აქსელოსის აჩრდილმა შეამჩნია წყნარად მოსეირნე სამი აჩრდილი. ერთი მათგანი სულ პატარა სუსტი.

— სალამი შენ, აჩრდილო, რომელიც ქვეყნად სოკრატი იყავ!— სთქვა აქსელოსმა.

— სალამი შენც, ბრძენო, რადგანაც სჩანს აქ გამოცხადებით შენც ბრძენი უნდა იყო!—უპასუხა სოკრატიმ. ხმა შენი მაგონებს ღელამიწას, თითქოს უნდა მენახე სადღაც ათინაში.

— როგორ არა! შენ შემხვდი აკადემიის ახლოს სწორედ იმ დღეს, როდესაც დაგატუსაღეს. გახსოვს?

სოკრატის აჩრდილმა სუსტად გაიღიმა, ისე როგორც იღიმებიან ხოლმე საზოგადოდ აჩრდილნი.

— მე მახსოვს ერთიც და მეორეც. მაგრამ როგორ მოხვედი შენ აქ? ალბად გზა დაგეკარგა?

— მოვხვდი აქ როგორც ბრძენი... სამარის ქვაზედ ზედწარწერის წყალობით.

— რა ჰქვიან იმ ბედნიერ ქალაქს, სადაც შენ ბრძენად გთვლიდნენ? ან რას ამბობდი ისეთს?

— მე ვსდუმდი.

— მთელს სიცოცხლეში?

— სულ.

— მაშ მესმის,—სთქვა სოკრატის აჩრდილმა—რეგვენიც ბრძენია,— როდესაც იგი სდუმს. შენ ბრძენი სულელი ხარ!

და აქსელოსის აჩრდილი თავისუფლად სეირნობდა ელიზიის ხეივნებში, როგორც სწორ-უფლებიანი...

ჯაფარ-ფაშა.

# ფრენის კვირა რუსეთში

## (წერილი პეტერბურგიდან)

დაიწყო ფრენის კვირა პეტერბურგში! ახლა, თითოეული პეტერბურგელი მხოლოდ ჰაერში ფრენაზე ფიქრობს, იმაზე ლაპარაკობს... ქუჩასა, თუ სახლში, კაფესა თუ თეატრში—მხოლოდ ჰაერში ფრენის შესახებ ლაპარაკი გესმით, მის შესახებ განცხადებებს ხედავთ...

ადგება თუ არა დილას პეტერბურგელი, მაშინვე გაზეთს წაავლებს ხელს და ათვალიერებს ამ დღის აფრენის წეს რიგს, შემდეგ გაიხედავს ფანჯარაში—როგორი ტაროსია... თუ ცუდი ამინდია, მოწყენილი გაიქნევს თავს, თუ კარგი—სიამოვნებით იწყებს აეროდრომზე წასასვლელად მზადებას.

თორმეტი საათის შემდეგ იწყება ხალხის მოძრაობა. ის ქუჩები, რა გზითაც უნდა წახვიდეთ სამხედრო აეროდრომისაკენ, სავსეა ხალხით, ეტლებით, ავტომობილებით და ტრამვაებით. დიდი, პატარა, ქალი, კაცი, გაჩქარებული მიდის იქითკენ, ყველას სახეზე არა ჩვეულებრივი სიცოცხლე ეტყობა.

ტრამვაიში ადგილის შოვნისათვის ერთი წეწვა-გლეჯაა. ყოველ სადგურზე, უბნის ზედამხედველები და პოლიციელები სდგანან და ტრამვაიში ხალხს თვლით უშვებენ.

აი, მიაღწია ტრამვაიმ სამების ხიდს. მარსის მინდორზე ყვითელი ალამი ფრიალებს; ეს იმის ნიშანია, რომ დღეს იფრენენ. ყველას დიდი სიამოვნება ეხატება სახეზე. ტრამვაი კი მისრიალებს წინ. ახალ სოფლთან (Новая деревня) ტრამვაი ჩერდება. ჩამოდიხართ იქიდან და უერთდებით ხალხის ტალღას. თქვენდა უნებურად ხან აქეთ წაგიყვანს იგი და ხან იქით.

ახალ სოფლიდან, კოლომიაგამდის, სადაც იმართება ფრენა, ორი ვერსია. მთელი ეს გზა სავსეა ხალხით, ეტლებით და ავტომობილებით; ნელი ნაბიჯით, როგორც იქნა მიაღწევთ აეროდრომს!.. ხეები, სახლის სახურავები, ვეებერთელა მინდორი, ეტლები სავსეა მაყურებლებით. აბაზიან ადგილას რამდენიმე ათი ათასი კაცია. იმას მხიარული სიცილი, ოხუნჯობა, პოლიციელების „Осади назадъ“.

— მიფრინავს, მიფრინავს! დაიძახა ვიღაცამ. იმ წამსვე ყველას თავი იქით მიტრიალდება, მაგრამ მფრენავი მანქანის მაგივრად მიფრინავს ყვავი. ისმის ბრბოს ხარხარი და ოხუნჯობა.

ქარი ძლიერა ბერავს და ბევრი იჭვნეულობს—დღეს ვერ გაფრინდებიანო, მაგრამ ყვითელი ალამი ჯერ კიდევ ფრიალებს. თუ ფრენა არ მოხდება, მაშინ ლურჯ ალამს გამოფენენ. თუ თეთრი ალამი გამოჰფინეს, ეს იმის ნიშნავს, რომ ფრენა საეჭვოა.

ჩუ, რაღაც ზუზუნი ისმის. ეს ამოდენა ზღვა ხალხისა მაშინვე წყნარდება; მხოლოდ ხანდახან მხიარული ხმა წამოიყვირებს—გამოჰყავთ, გამოჰყავთ... და, მართლაც, გამოჰყავთ „ბიპლანი“ ფარმანისა. ხალხი გაფაციცებით აყენებს თვალყურს. აი, დატრიალდა პროპელლერი, და მტვრის ბუქი ააყენა. პროპელლერი სისწრაფეს უმატებს, ბიპლანი მიწაზე მიგორავს, ცოტა კიდევ და... მოისმის მძლავრი ვაშა რამდენიმე ათი ათასი კაცისა.

ბიპლანი მსუბუქად აფრინდა ჰაერში და მშვიდად მისრიალებს წინ. ხალხის სიხარულს და ვაშას ძახილს საზღვარი აღარა აქვს...

პირველს მოჰყვა მეორე, მეორეს მესამე, მეოთხე და მეხუთე... ხუთი ბიპლანი ერთად მისცურავს ჰაერში, ხუთივე ფარმანს ეკუთვნის აფრინდებიან მაღლა, მაღლა, მერმე ისევ ძირს ჩამოეშვებიან, გეგონება მიწაზე დაეცაო, მაგრამ უეცრად ისევ მაღლა ადიან...

აგერ გამოჩნდა ახალი ბიპლანი, ზედ ორი კაცი ზის; ერთი თითონ პილოტია და მეორეც მგზავრი.— მიშკა მიჰფრენს, ეფიმოვიც მიჰფრენს, ვაშააა!—მძვინვარებს ბრბო. და მართლაც გიტაცებს ეფიმოვის ფრენა. მშვიდად დინჯად, თითქოს შინ, სავარძელში იჯდესო, აბრუნებს ეფიმოვი თავის ბიპლანს და მგზავრთან ერთად მისრიალებს წინ. სჯერა რომ ნამდვილი მფრინავია, სჯერა, რომ ბიპლანს ესმის-რა მძლავრი ხელი აბრუნებს იქით-აქეთ, და მართლაც ფრენის დროს მანქანა ცოცხალსა ჰგავს. მისი ზუზუნი ვეებერთელა ფრინველის ფრენას მოაგონებს.

მთელის საათის ფრენის შემდეგ, უკან ეშვებიან, ისევ ფრინავენ და ისევ ეშვებიან. საოცარის უშიშრობით დაფრინავენ სამხედრო ავიატორებით „აფიცრები“. ჯერ სამი თვე არ გასულა მას აქეთ, რაც სწავლა დაიწყეს და თითქმის ეფიმოვს ეცილებიან. მაგ. კაპიტანი რუდნევი—ყველაზე მაღლა ფრინავს და თითქმის ყველაზე მეტს.

ხალხი თანდათან იშლება, მიდიან შინ, ბევრს მოსწყინდა ბიპლანების ყურება. ამ დროს ისმის ხმა—ბლერიო გამოყავთ, ბლერიო—და ხალხი მირბის უკანვე, ერთი მეორეს აწუდება, მაღლა იწევს თავს, სცდილობს ერთი თვალი მაინც მოჰკრას, მაგრამ თითის ფრჩხილებზე აწევა საჭირო არ არის, რადგან კალიასავით „ბლერიო“ ადვილად და ლამაზად მისრიალებს ჰაერში, მაღლა... მაღლა... აი ძლივს-ღა სჩანს; ჰაერში ქორივით დასრიალებს თავს ხალხსა და ბიპლანებს, რომელთაც არ შეუძლიათ იმ სიმაღლეზე ასვლა. საუცხოვო ლამაზი ბლერიო ჰაერში: კუდი, ფრთები, ყველაფერი კალიას მსგავსსა ხდის მას. თოვლივით თეთრი მშვენივრად ბრჭყიალებს მზის სხივებზე და ხალხის აღტაცებასაც საზღვარი არა აქვს. ჩიტივით ნავარდობს იგი ცის სივრცეში. აფრინდება ზევით, სწრაფ დაეშვება ძირს, კაცსა გონია ჩამოვარდაო, მაგრამ მცოდნე პილოტის მარჯვე ხრიკი და მანქანა ისევ მარდად მიფრინავს ზევით. გავარდა ზარბაზანი. საფრენი დღე გათავდა. ამ დროს ჩამოეშვა ბლერიო. ხალხმა ვეღარ შეიკავა თავი. გადალახა მოაჯირი, დარაჯები და აზვირთებული ტალღასავით გადაეშვა იქით აეროდრომზე, სადაც დაეშვა ბლერიო შემოეხვია მას და სცდილობს ისარგებლოს რამდენიმე წუთით, დარაჯების მისვლამდე, რათა დააკმაყოფილოს თავისი ცნობის-მოყვარეობა.

ხალხი ნაბიჯით მიდის წინ... ეტლები, ავტომობილები, სდგანან მათთვის აღარ არის გზა; მთელი ქუჩა ძლივს-ღა იტევს ფეხით მოსიარულეთ. ისმის კმაყოფილი სიცილხარხარი, საუბარი მფრენავთა შესახებ.

ყველას უკვირდა ეს მოჩვენება... —ნუ თუ ადამიანს ფრთები გამოებაო? კითხულობენ აქეთ-იქიდან.

— დიახ, ადამიანი შეიქმნა ბატონი ჰაერისა. გვიხაროდეს ასეთი ძლიერება ადამიანისა.

კოხრელი.

დიდ გაჭირვებაში ვიყავით 300 მეკომური უწყლობისა გამო; ჩვენში მგზავრი წყალს ჯერ იმოვიდა დასალევად და ახლა-კი წყალი ხუთ ადგილას არის გამოყვანილი... სოფლის ყველა უბანს ახლა აქვს ანკარა ცივი წყალი.

ამ ერთი წლის წინად ჩვენ შეუძლებლად, ილიაზიად, მიგვაჩნდა „ორკოხნელის“ წყაროს გამოყვანა იმ ხევების გამო, რომლებიც შუაზე ჰქონდა, მაგრამ ახლა ყოველივე ტეხნიკური სიძნელე დაძლეულ იქმნა.

წყლის გამოყვანაში დიდი და დაუვიწყარი სიკეთე უყვეს სოფელს ინჟენერმა გრიგოლ ზაქ. ქურდიანმა და მომრიგებელმა შუამავალმა თავ. ი. ი. განნაძემ. პირველმა ხარჯთ-აღრიცხვა-პროექტი „ორკოხნელის“ წყლისა უსასყიდლოდ შეადგინა, და უსასყიდლოდვე იტვირთა ყოველივე საქმის ხელმძღვანელობა წყლის გამოყვანაში და მეორემ იშუამდგომლა მთავრობასთან, რომ ნინოწმინდელებს რვა წლით მისცემოდა ვალად სამეურნეო თანხიდან 3000 მანეთი. ხარჯთ-აღრიცხვით უნ და დახარჯულიყო 4120 მანეთზე მეტი, მაგრამ ბატონმა ქურდიანმა დიდი დაზოგვით 3000 მანეთზე ნაკლები მოანდომა.

ჩვენი სოფელი დიდ მადლობას უძღვნის ამ ღირსეულ ადამიანებს და არასოდეს არ დაივიწყებს მათ სახელს წყურვილისაგან სოფლის დახსნისათვის.

წყლის კურთხევა დანიშნულია 2 ოქტომბერს. **ა. გ.**

# წერილი კიევიდან

8. დუბროვინი კიევში. 9. საქორწინო გაზეთის მეძებ. 10. არშიყობის ბინა. 11. ხმოსნების არჩევნები.

8 სექტემბერს კიევში მოვიდა დუბროვინი და ადგილობრივ „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ ლიდერებს სადარბაზოდ ეწვია. დუბროვინის აქ მოსვლას კავშირი აქვს ამ მოკლე ხანში განზრახულ ჭეშმარიტ რუსთა სრულიად რუსეთის კრების მოწვევასთან. კვირას 12 სექტემბერს მოხდება კრება კიეველ „ჭეშმარიტ რუსთა“, ექიმი დუბროვინის მონაწილეობით, რომელიც შემდეგ ოდესაში გაემგზავრება. დუბროვინმა ადგილობრივ ჭეშმარიტ რუსებისადმი დაბეჭდილი მოწოდება გამოსცა, სადაც ის იწვევს მათ მომავალ კრებაზედ. ამ მოწოდებას ჰქვიან: „ჩემი უკანასკნელი სიტყვა“. „პარლამენტალური სული რამდენიმე პირის სახით,—ნათქვამია ამ მოწოდებაში,—შემოიჭრა ჭეშმარიტ რუსთა კავშირის უმთავრესს საბჭოში და სცდილობს კავშირი პოლიტიკური არარაობად აქციოს. ეს მიმართულება „განახლებული საბჭოსი საკმარისად უზრუნველყოფილია ფულით საექვო წყაროებიდგან და ვოცელი თანაგრძნობით იმათ მხრივ, ვისთვისაც სასურველია რუსეთში მასონების გულის სასიამოვნო რელიგიური ანარქიის დამყარება, თვით მპყრობელობის კონსტიტუციონურ ტირანიად შეცვლა და რუსის ხალხის ისტორიულ უფლებებიდგან—იმპერიაში პირველობა—ჩამოყენება. მასონური კეთილისა და ბოროტის ერთიანობის დაგვარად ყველგან გაჰყავთ უსიცოცხლო წესი ეროვნების და სარწმუნოების განურჩევლობის შესახებ. ამასთანავე მტრები, ჰქადაგებენ რა ახალმოდურ უმრავლესობის უფლებას, ამავე დროს სცდილობენ დაუმონონ სახელმწიფოებრივი უმრავლესობა, რუს ადამიანთაგან შემდგარი სხვა და სხვა ეროვნების უმცირესობას. იმათ კვალს მისდევს ზოგიერთი წევრი მთავარი საბჭოსი, რომელთაც გაბედეს წინამძღვრობა ჭეშმარიტ რუსთა კავშირისა, ვითომც ის რაღაც დისციპლინალური ბატალიონი იყოს. ყველა ეს საჭიროდ ხდის კავშირის კრებას, რომ ზომები იქმნას მიღებული ჩვენი პოლიტიკური პოზიციის ალსადგენად“. ესევე მოწოდება დუბროვინმა დაუგზავნა პროვინციაშიც ჭეშმარიტ რუსთა კავშირის იმ განყოფილებებს, რომლებმაც „დუბროვინის ერთგულება“ შეინარჩუნეს ცნობილ დანაწილების შემდეგ პარტიაში „ბნელი ფულების“ გამო. მოწოდებაში ბოლოს ის ურჩევს მოაწესრიგონ კავშირის შინაურული ცხოვრება, რადგანაც „კვლავ საჭირონი ვართ და ვიქნებით, სანამ რუსეთში სახელმწიფოსა და ეკლესიის მტრები არ გამოილევიან“-ო, ამთავრებს თავისს მოწოდებას დუბროვინი.

კიევის სახელხო დაწესებულებებმა მიიღეს განცხადება და მიწვევის ქაღალდი, რომ მოსკოვში არსდება „სოფლის მწერალთა მოსამზადებელი კურსები“, რომლებიც სახალხო განათლების მინისტრს დაექვემდებარება კურსებზე. მიიღებიან 17 წლისაზედ არა ნაკლებნი სოფლისა და სამოქალაქო სკოლებში სწავლა დამთავრებულნი. კურსები იქმნებიან 1/2 წელს—20 აგვისტოდან 20 თებერვლამდე. სოფლის მასწავლებლებისა და მწერლებისათვის, ვინც კურსებზედ შესვლას მოინდომებს სწავლა გაგრძელდება მხოლოდ სამ თვეს 20 სექტემბრიდან 20 დეკემბრამდე, და 25 მაისიდგან 25 აგვისტომდე ყოველ წლივ. კურსებზე ასწავლიან რუსულ ენას და რუსულ მართლწერას, ამას გარდა მსმენელები გაეცნობიან საგუბერნიო და სამაზრო დაწესებულებათა წესრიგებს, სასამართლოსა, სამზრუნველოსა და დასაზღვევ საქმეებს. წაიკითხავენ რამდენსამე ლექციას კოოპერაციის შესახებ, შემნახველ-გამსესხებელ კასებისა და მომხმარებელ ამხანაგობათა მოწყობაზე. სწავლის ფასი 50 მანეთია.

კიევში ერთი „საქორწინო“ საქმე მოხდა. თურმე ერთმა ადგილობრივმა პედაგოგმა მოსკოვის „საქორწინო გაზეთში“ გამოაცხადა, რომ „ვეძებ ახალგაზრდა, ეშხიანს ქალს, რომელსაც შეეძლოს დამატკბოს სიცოცხლე და თან მატერიალურად შემიმსუბუქოს: რადგანაც ჩემი მცირე ჯამაგირი—1800 მანეთი—საკმარისი არ არის“-ო. ამ განცხადებაზედ პასუხი გასცა ერთმა მოწყალების დამ, რომელიც კრასნოიარსკში სცხოვრობდა. წერილის შემდეგ ამათ ერთმანეთს სურათებიც გაუგზავნეს. მოეწონათ ერთმანეთი და უკვე მზად იყო მოკლე დროში ამითი შეუღლება. მოწყალების დამ კრასნოიარსკში სამსახურს თავი დაანება და კიევში წამოვიდა. რასაკვირველია საქმროს წინდაწინვე შეატყობინა, მოვდივარო. თერთმეტი დღის მოგზაურობის შემდეგ მოვიდა კიევში. საქმრო აქ არ დაუხვდა, მოსკოვში წასულიყო. ქალი დარჩა კიევში და ცდა დაუწყო. ბოლოს მოვიდა საქმროც და შეხვდა ქალსა, მაგრამ აქ გამოირკვა, რომ ეს პედაგოგი ცოლიანი ყოფილა. ქალი საშინლად შეწუხდა, აღელდა და პასუხი მოსთხოვა. პედაგოგი თავსა მართლულობდა—„ვიხუმრეო“. ცუდს მდგომარეობაში ჩავარდა საწყალი ქალი: ადგილს თავი დაანება, დარჩა სრულიად უსალსროდ უცხო ქალაქში. ბოლოს პედაგოგმა თავის „მცირე ჯამაგირიდან“ მისცა ფული და უკანვე გაისტუმრა. ამ გვარად გათავდა გაზეთით გათხოვების საქმე.

კიევის ხმოსნების არჩევნები მოახლოვდა. რასაკვირველია, წინასწარ მოლაპარაკება აგიტაციას მხოლოდ ადგილობრივი ნაციონალისტები ეწევიან.

ამ დღეებში აქ აღმოაჩინეს ერთი სახლი, სადაც თურმე თვით უპალლესი წრის ქალებიც კი მიდიოდნენ და მსურველებზე ჰყიდნენ თავიანთ სხეულსა და სილამაზეს. აქვე ჰრყვნიდნენ უმანკო ცირებს (барышня) რომელიმე დაბერებულ ზნე წამხდრობის მსხვერპლად. ბინის პატრონი დააპატიმრეს. **გ. ნამორაძე.**

# თეატრი და ხელოვნება

**ქუთაისი.** კვირას, 3 ოქტომბერს გაიხსნება ქუთაისში ზამთრის სეზონი ლენგიელის ახალი პიესით „ტაიფუნით“, რომელიც ეხლა მთელს რუსეთის სცენას შემოდგომის ნისლივით მოედო.

დასი, როგორც ქვემოდ დაინახავთ უმთავრესად ახალგაზრდა ძალებისაგან არის შემდგარი, სწორედ იმ ახალგაზრდა ძალებისაგან რომელთაც წარსულ სეზონში სამართლიანად დაიმსახურეს საზოგადოების ყურადღება.

ვუსურვოთ ახალ ძალებს—შარშანდელივით ნაზად დაეტკბოთ ქუთათურების სმენა...

უნდა აღვნიშნოთ ზოგიერთი სასურველი ცვლილება ჩვენს თეატრში:

კარგა ხანია წესად შემოიღეს, რომ მანდილოსნები პარტერში „შლიაპებს“ იხდიდნენ. ამ ჩინებულ წესს ზამთარშიაც ექნება „ძალა“, თუმცა დარბაზს ამითი წინანდელი სილამაზე ეკარგება,—იგი აღარ წააგავს „ბაღჩა-ბოსტანს“ ძველებურად, მაგრამ რა „გვიბაღჩისარაიება“, როცა სცენაზედ ალარასფერი მოჩანს ხოლმე.

აზრათა აქვთ, პარტერის ორივე მხარეს, სადაც ახლა ფარდებია ჩამოფარებული, კარებები გააკეთონ. ეს მეტად საჭიროა და აი რატომ:

აიხდება სცენაზედ ფარდა, დარბაზში ისეთი გამსჭვალი ქარი დაუბერავს ხოლმე, რომ სუსტ ფილტვების პატრონისათვის მეტი აღარაფერია საჭირო—მისწრება არი!

გარდა ამისა, შარშან რომ პუფეტი იყო—წრეულს აღარ არსებობს—თქვენი ჭირი წაიღო. ბევრი ანტრაქტების დროს სავს იქცევდა და პაპიროსს აბოლებდა, ეხლა-კი თამბაქოს უმთავრესად ამ გასასვლელ კარებებში ეწევიან, კვამლი თეატრში გუბდება და ხალხს სუნთქვა უჭირს... კარებები რომ იყოს, დაიხურებოდა და ჰაერი უფრო სუფთა შეიქნებოდა

აკრძალული უნდა იქმნას დარბაზსა და ლოჟებში პაპიროსის მოწევა; ესეთ პირებს უნდა ეთხოვოს „კულუარებში“ გაბრძანდნენ ხოლმე

სურთ შემოიღონ ერთი საყურადღებო წესიც; ფარდის ახდის შემდეგ თეატრში აღარავინ შეუშვან?.. გამაგონია რომ ასეთი წესი თურმე მოსკოვის სამხატვრო თეატრში ჰქონიათ. მაგრამ ვაი!.. რომ ჩვენს თეატრსა და მოსკოვის სამხატვრო თეატრს შუა ისეთივე დიდი მანძილია, როგორც ქუთაისიდამ—მოსკოვამდე. ჩვენ თეატრში სწორედ ფარდის ახდის შემდეგ, როდესაც დარბაზში ელექტრონის სინათლე უკვე ჩამქრალია, შეიქნება შლიგინ-შლიგინი და სკამების ბრახაბრუხი... ზოგის მხრივ ეს ადვილი ასახსნელია—სიბნელეში „თავისს“ სკამს ველარ მიაგნებს და „შეცდომით“ პირველ რიგში ჩაჯდება, ზოგის საქციელი-კი სხვა სახით აიხსნება... ყოველ შემთხვევაში ამ ცუდი სენის ალმოფხვრა მეტად სასურველია; მაგრამ, ბატონებო, სანამ კარებების დაკეტას დააწესებდეთ აუცილებლად საჭიროა ფოიეში, სადაც ხალხი დასეირნობს, ზარი იქმნას გამართული, როგორც ეს ყველგან „მართალ“ თეატრებშია ხოლმე. ეხლანდელი ზარის ხმა, რომელიც კულისებში ირეკება, ხშირად, როდესაც ბევრი ხალხია, ფოიეში არ ისმის.

ასეთ წესიერ გაფრთხილების შემდეგ, ვინც არ ისურვებს თავის დროზე დაიჭიროს თავისი ადგილი... დაე, ბრძანდებოდეს კარებს უკან...

თქვენ ღირსება მითხარით, თორემ ნაკლს რამდენიც გნებავს ჩამოგითვლით, ხოლო რაც აღვნიშნეთ ჯერჯერობით ის მაინც თუ ასრულდა—ისიც ღვთისა და დრამ. გამგეობის დიდი წყალობა იქმნება.

დასში მოწვეულ არიან. ქ-ნნი ე. ანდრონიკაშვილი, ვ. დეისაძე, თ. თამარაშვილი, დ. ივანიძე, მ, მდივანი, ა. ქიქოძე, ო. ლოლობერიძე, ე. წუწუნავა, და ნ. ჩხეიძე.

ბ-ნნი გ. ავტალიდი, ვ. არაბიძე, ი. ბარველი, ა. გუგუშვილი, შ. დადიანი, ა. იმედაშვილი, პ. კორიშელი, ა. მურუსიძე, ვ. სარელი, ვ. ცურუშაძე, მ. ქორელი და ა. ყალაბეგიშვილი.

სუფლიორები: გ. გურული და გ. ფარქოსაძე.

რეჟისორები: მ. ქორელი და შ. დადიანი.

მახლობელი რეპერტუარი: „ტაიფუნი“ ლენგიელისა, „გაუდიამუს“ ლ. ანდრეევისა, „სახაზინო ბინა“ რაშკოვსკისა, „უკანასკნელნი“ მ. გორკისა, „ჰანნელე“ ჰაუპტმანისა, „ეროს და ფსიხეია“ ჟულავსკისა, „ევგინე“ შირვანზადესი და სხ... **ჯაფარ-ფაშა.**

# უცხოეთი

**ერლიხის მოქიშპენი.**

ერლიხის მიერ გამოგონებულ „606“ და მის სახელს, დიდი მითქმა-მოთქმა გამოუწვევია იტალიაში. იტალიელებს, საზოგადოდ, სძულთ გერმანელები და იტალიის გაზეთები ეჭვში შედიან: ამ „გამოტვინებულ“ ხალხის შვილს რა უნდა გამოეგონა. იტალიის არც ერთმა უნივერსიტეტმა არ იკადრა ერლიხის „606“ ეცადნა თავის კლინიკაში

მხოლოდ ერთმა ექიმმა პოსტემსკიმ—გადმოტვინებულმა პოლონელმა ამ ორი კვირის წინად დაიწყო ერლიხის საშუალების ცდა თავის კლინიკაში.

იტალიელი ცნობილი პროფესორი გვიდო ბაჩელი კი ახლა ერლიხის წინაამდეგ და არამც თუ ლექციებში, გაზეთებშიაც გაილაშქრა მის წინააღმდეგ.

მან დაგმოლა და დაიწუნა ერლიხის „606“, ხოლო ამის ნაცვლად უებარ წამლად აღიარა თავის მიერ გამოგონილ ვარდის წყლით წამლობა.

ბაჩელის ასეთმა გალაშქრებამ მაინც ვერავინ დააჯერა და, როგორცა ჩანს, იტალიაშიაც ფეხს მოიკიდებს „გამოტვინებულ“ გერმანელის „606“.

**არჩევნები ავსტრიაში.**

ავსტრიის რეიხსრატში გაბლონცის სამრეწველო რაიონიდან დეპუტატად აირჩიეს გერმანელი პროგრესისტი, ბურგომისტრი და ლანდტაგის დეპუტატი გლენკერი.

გლენკერმა მიიღო 6,189 ხმა, ხოლო ს.-დემოკრატის კანდიდატმა—5,085 ხმა.

ამ გვარად სოციალ-დემოკრატიამ რეიხსრატში ერთი ადგილი დაჰკარგა.

**დეპუტატის ხელ-შეუხებლობის დარღვევა უნგრეთში.**

უნგრეთის პოლიტიკური წრეები საშინლად აღელვებულნი არიან რომის კურიის განკარგულებით. უნგრეთის პარლამენტის დეპუტატმა, მღვდელმა რიხტერმა, რომელიც ნაციონალ მუშათა პარტიის წევრია, არჩევნების დროს კლერიკალების წინააღმდეგ კაილოშქრა. ამის გამო ეპისკოპოსმა მოწერილობა გამოუგზავნა დეპუტატობიდან გადადგე, თორემ სამღვდელო ღირსებას აგყრიო. ეპისკოპოსი დასძენდა, რომ მისი განკარგულება პაპის დეკრეტითაა გამოწვეული, რომელიც ავალებს დემოკრატ მღვდლებს მხილებასაო. მღვდელმა რიხტერმა ეს ამბავი პარლამენტს მოახსენა. პარლამენტი საშინლად აღელდა, მით უმეტეს რომ ასეთივე ბრძანება მეორე მღვდელს რუდნაისაც მიიღო. უნგრეთის მთავრობას გადაუწყვეტია ამ საქმის გამო რომის პაპთან დიპლომატიური მოლაპარაკება გამართოს.

**სიკვდილ მისჯილის დეპუტატად არჩევა.**

ამერიკის შტატ კენტუკში ამერიკული ახირებულობა მოხდა. კონგრესის დეპუტატად 7 ათასის ხმით აირჩიეს კალებ პოუერი. პოუერს კენტუკის გუბერნატორის მკვლელობისათვის სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს. შემდეგ, დიდი აგიტაციისა და გამოსარჩლებისა პოუერს სასჯელი კატორღით შეუცვალეს, ხოლო ორის წლის შემდეგ, „სახელმწიფოს შედობიანობისა და ატეხილ ბრძოლის მოსასპობად“—პოუერს აპატიეს დანაშაული და კატორღიდან დააბრუნეს. და... მერე დეპუტატადაც აირჩიეს.

# რუსეთი

**ყალბი წამალი 606.**

მოსკოვში მალე ისარგებლეს ერლიხის გამოგონებით და ყალბი წამლის დამზადება იწყეს. ვინმე ანდრეევსკი, სამსახურიდან გადამდგარი შტაბს-კაპიტანი რუსეთის გაზეთებში აცხადებდა, რომ ათაშანგის წამალს, „606“, მსურველებს ფასდადებით ვუგზავნითო.

ანდრეევსკის ბედმა გაუღიმა, უადგილოდ დარჩენილმა კუჭის სასუნავი იშოვნა და საქმეებიც გვარიანად მიჰყავდა, თურმე. მაგრამ ეშმაკს არ ეძინა. ერთ მშვენიერ დღეს ადმინისტრაციამ ერთი მოხელე გაგზავნა „606“-ს სასყიდლად. მოხელეს უთხრა ანდრეევსკიმ, რომ წამალს სახლში გაახლებთო.

დანიშნულს ვადაზე წამალი არ მიუტანეს. ხელმეორედ მივიდა მოხელე, თან პოლიციელებიც ჰყავდა. გაჩხრიკეს და ყველა პრეპარატები უნახეს. კიდევ კარგი რომ ანდრეევსკის ყალბი წამალი უვნებელი აღმოჩნდა. უბრალო ფქვილისა და რაღაც წებოს მაგვარ მასალებით ყოფილა შეზავებული. ანდრეევსკის ამ საქმეში პროვიზორის თანაშემწე ვინმე ქოლოვსკი ეხმარებოდა.

ანდრეევსკი პასუხის-გებაში მისცეს.

**ფრენა.**

სარატოვიდან 13 სექტემბერს საღამოს 5 საათსა და 20 წუთზე აფრინდა სრულიად რუსეთის საიმპერატორო ჰაეროკლუბის სფერო (შარი) „ვასილი კორნი“ და ვოლგისაკენ გაემართა. მეორე დღეს, 14 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე მშვიდობიანად დაეშვა ვოლგის მარჯვენა ნაპირას, სარატოვიდან 90 ვერსის მანძილზე. სფეროს ხელმძღვანელობდა ამ საზოგადოების მდივანი ინჟენერი რინინი.

უდიდესი სიმაღლე, სადამდენიც მიუღწევია სფეროს, 3550 ადლს უდრის.

**რევოლუციონერების დატუსაღება.**

ბოჩუშოვში (ბუკოვინი), ჟანდარმებს შეუპყრიათ სამი რევოლუციონერი, რომელიაც მათთვის იარაღით წინააღმდეგობა გაუწევიათ. შეპყრობილებს დიდ-ძალი იარაღი აღმოაჩნდათ. ეს იარაღი თურმე რუსეთში უნდა შემოეტანათ.

**წიგნის აკრძალვა.**

საცენზურო კომიტეტმა აკრძალა ლევ ტოლსტოის წიგნაკი „სამი დღე სოფლად“. ეს წიგნაკი გამოუცია ორ გამომცემელ ამხანაგობას; პირველად „ნაროდნოე იზდატელსტვოს“, ხოლო მეორედ—„სტუდენტსკაია ჟიზნ“-ს.

გამომცემლებს პასუხის-გებაში აძლევენ.

# სასამართლო

**მანიფესტის ძალით გამართლება.**

23 სექტემბერს ტფილისის საოლქო სასამართლოში გაირჩა საქმე პავლე ივანეს ძის ჯინჭარაძისა, რომელსაც აბრალებდნენ ქურდობას. ჯინჭარაძე ამის შემდეგ სამხედრო სასამართლოში მიეციათ. სასამართლოს მისთვის სიკვდილით დასჯა გადაუწყვეტია, სიკვდილით დასჯა ნამეტნიკს 15 წლის კატორღით შეუცვლია. 1909 წელს მანიფესტის ძალით ჯინჭარაძე გაუნთავისუფლებიათ. სასამართლომ იხელმძღვანელა ამ მანიფესტით და ჯინჭარაძე ქურდობაშიაც გაამართლა.

**მუქარა.**

ამ დღესვე გაირჩა საქმე სიღნაღის მაზრის სოფელ ქვემო-მაჩხაანის მცხოვრების გიორგი ვასილის ძე ბოსტაშვილისა და ტფილისის მაზრის სოფელ ახალსოფელში მცხოვრების შაქრო ნიკოლოზის ძის კუმელაურისა. მათ აბრალებდნენ ვაჭარ ხაჩატურ აფრიკიანისაგან ფულის მოთხოვნას მუქარით; როცა უარი მიუღიათ, სასიკვდილოდ დაუჭრიათ აფრიკიანის ორი მსახური შახნაზაროვი და არუშანოვი. დამნაშავეთ იცავდნენ ნაფიცი ვექილები კლანქი და ა. ი. ყანჩელი.

სასამართლომ ბოსტაშვილს მიუსაჯა ღირსების ახდა და ოთხი წლით გამასწორებელ რაზმში გაგზავნ ; შაქრო კუმელაურს კი სამი თვით დაპატიმრება სატუსაღოში.

**ბოქაულის საქმე.**

ტფილისის სამოსამართლო პალატაში გაირჩა საქმე სირთიჭალის ბოქაულის გედევანიშვილისა, რომელსაც [illegible] არ მიუღია ციმბირიდან გამოქცეული [illegible] ბის კურხულისა და რევაზიშვილია თასაქრად.

პალატამ გედევანიშვილი გაამართლა.


# განცხადებანი

**ექიმი** ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს მინაგ., ქალ., ბავ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (ნ.—187

**დოქტ. ნავასარდიანისა**

ყოველ დღე, კვირეებს გარდა დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

**დილით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. აველტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი.** 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან. და საბავშვო.

**ბ. გ. აგასაროვი:** 1½—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.

**საღამოთი:**

**ქალ. ექ. პ ს. ზილბერშაცი:** 6—6 ს საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

**ო. ვ. გეევხკაია-ენგელი:** 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ბ. ა ნავასარდიანი.**

**გამოვიდა და იყიდება ქ. შ. წ.-კით. გამ. საზოგადოებისა და სხ.**

**წიგნის მაღაზიებ ში**

**დუტუ მეგრელის**

ნაწერები

I წიგნი **ლექსები** . . 70 კაპ.

II წიგნი **მოთხრობები** . 70 კაპ.

ხელის-მომწერლებმა, რომელთაც ხელი მოაწერეს გაზეთ „დროების“ რედაქციაში, და მეორე წიგნი ჯერ არ მიუღიათ, უნდა მიმართონ დასახელებულ წიგნის მაღაზიაში ბ. ივანე ავალიშვილს, ან პირადად ან ფოსტით ღია ბარათით ამ ადრესით:

Тифлисъ. Дворцовая, домъ Дворянства, книжный магазинъ общества грамотности, И. Авалишвили.

(10—დ-მ.—7)

**იმლევა ქირით**

კარგად მოწყობილი სავაჭრო მაღაზიები, დაზგებით და კარადებით, მსურველს შეუძლიან ერთ, ან სამი ერთად დაიქირაოს, შეუძლიან ფურნეც გააკეთოს ფასის გაგება შეიძლება იქვე: ლიდუბისა და მერემტევის ქუჩების კუთხე **ბიქრაძესთან.**

(5—71—4)

# ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამითატყობინებს ტრაქტირების პატრონებს, რომ თანახმად სატრაქტირო დებულების მე-34, 35 და 36 მუხლებისა, ქალაქის სასარგებლოდ 1911 წლის გადასახადთა გამნაწილებელ კომისიების არჩევნები მოხდება დუქნებისა, ტრაქტირებისა და სმგარ-სასმელებით სავაჭროებს 26 სექტემბერს . . . . . . დილის 10 საათ.

ღვინის სარდაფებისა . . . . დილის 12 საათ.

ლუდხანებისა . . . . ნაშუადღ. 2 საათ.

ყავახან. და საჩაიებისა, სადაც ცხელ საჭმელსა ჰყიდიან ნაშუადღ. 2 საათ.

ხარშოვნიებისა . . . . ნაშუადღ. 2 საათ.

ბაკებისა . . . . . ნაშუადღ. 2 საათ.

ზემოდ დასახელებულ დაწესებულებათა პატრონები უნდა მოვიდნენ აღნიშნულ დღესა და საათზე ქალაქის გამგეობაში.

(3—83—2) გამგეობის წევრი **ა. არღუთინსკი.**

**ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი**

# კომერციულ ცოდნათა კურსები

**ტ. მ. ფილოიანის,**

(ტფილისი, მიხეილის პროსპექტი, სახლი № 24—4).

**სპეციალური კომერციული განათლება ვაჟებისა და ქალებისათვის. კურსის დამთავრების შემდეგ მოწაფეებს ეძლევათ ატესტატი.**

პრაქტიკული მეცადინეობა ისეა მოწყობილი, როგორც Pitman-ის სასწავლებლებში (ლონდონში) და პიგიერის მუსტერ-ლომტოირში (პარიზში). მასალა რეალურ ცხოვრებიდან აიღება. საგნები: ა) სავალდებ. 1. ბუხჰალტერია (უბრალო, იტალიური, გერმანული, ფრანგული, საბანკო და საფაბრიკო საქარხნო). 2. კომერციული არითმეტიკა. 3. პოლიტიკური ეკონომია. 4. კანონები (სავაჭრო უფლება, სავექსილო წესდება). 5. კომერციული კორესპონდენცია. 6. არითმეტიკა ჩოთქზე. 7. კალიგრაფია, სწორი წერა (ხელის გასწორება). ბ) არა სავალდებულო: 1. უცხო ენები. 2. ტენოგრაფია. 3. დაკტილოგრაფია (რემინგტონი და სხვ.) და 4. კომერციული კორესპონდენცია უცხო ენებზე. მეცადინეობა შეიძლება აგრეთვე ინდივიდუალურად.

**კურსების ლექტორები არიან სპეციალისტები უმაღლეს განათლებით.**

თხოვნები მიიღება 10—12 ს. დილით და 4—7 ს. საღამ. სწავლა იწყება 15 სექტემბერს. პროგრამები და წესები მიეცემათ და გაეგზავნებათ მსურველებს უფასოდ კურსების სადგომიდან,

კურსების დირექტორი **ტ. ფილოიანი.**


სტამბა „ხინათლე“ რუსის ქუჩა № 8

რედაქტორ-გამომცემელი **იროდიონ სოლღულაშვილი.**